გაზეთი ბევრია, „ვერსია“ ერთი

ვერსია

ფასი 50 თეთრი

№130 (1025) 29 – 30 დეკემბერი, 2014 წელი

ორშაბათი ოთხშაბათი პარასკევი

ექსკლუზიური ინტერვიუ სასჯელაღსრულების მინისტრთან

გიორგი მღებრიშვილი

გვ. 3

„პენიტენციურ სისტემაში არაერთი პრობლემაა, ამიტომ დავიწყეთ ფართომასშტაბიანი რეფორმა, რომელიც იმედია, მინიმუმამდე დაიყვანს ყველა რისკსა თუ პრობლემას. პატიმრებმა არაერთხელ მიმართეს პროტესტის უკიდურეს ფორმას, თუმცა მათი მოთხოვნები, ხშირ შემთხვევაში ჩვენ არ გვეხებოდა...“

თბილისში პოლიციის ახალი ადმინისტრაციული შენობა გაიხსნა

გვ. 12

ვეკინის №46-ში თბილისის პოლიციის მთავარი სამმართველო, სახელმწიფო უსაფრთხოების სააგენტო და დაცვის პოლიციის დეპარტამენტის დანაყოფები განთავსდება

მიხეილ სააკაშვილი: „პუტინს პატიოსანი ადამიანის თვალები აქვს, მე მას ვენდე და არ შევმცდარვარ“

გვ. 4

სანტა კლაუსის, ელფებისა და ჯადოსნური ამბების საახალწლო მარკეტინგული ინდუსტრია

გვ. 5

რატომ ჩაანაცვლა თოვლის ბაბუა სანტა კლაუსმა და რამდენად ეფექტურ ხერხებს იყენებენ კომპანიები გაყიდვების სტიმულირებისთვის

მაია ნიკოლეიშვილი ყავით მოწამლეს?

არა-ჩვეულებრივი ინტერვიუ დამოუკიდებელ ექსპერტთან

გვ. 6–7

ლიტო გელოვანი

გვ. 2

ევროასოცირებული კარანტინი

ის, რაც ცდებოდა წინა კვირაში(ც)

დაპირისპირება ზონაზე

გვ. 9

რატომ ვერ აიტანა ტარასამ პატიმარი დათო, რომელიც მაყურებლებს ციხეში ძმების მკვლელობის „გახსნაში“ დაეხმარა

პატიმრის დღიური

დიტო გელოვანი

ჩხუბში მონაწილეთა რაოდენობამაც იმატა, ტემპმაც და გაშმაგებამაც. ძნელი სათქმელია, სადამდე მივიდოდა საქმე, საკნის კარი რომ არ გაღებულიყო და ზედამხედველს არ დაეძახა: „ტარასტა, აბეეედ!“ ბალანდა მოგვიტანეს. ვფიცავ სინდისს, დაუყოვნებლივ და იმწამსვე, მყისვე და ერთბაშად დამთავრდა ყველაფერი. ქურდებისა და დათას ბრძოლაც კი დამთავრდა, რადგან ზედამხედველს იქით ამანათების დამტარებლის მსუქანი სიფათი გამოჩნდა და ამას კიდევ ერთი დაძახება მოყვა: „პერედაჩები მოვიდა, ტარასტაააა!“ ქურდებმა ყურები ცქვიტეს, დათას დაეხსნენ. სპარაპეტამ თქვა, — მეეშვით, გიჟიაო და თავისი კუთხისკენ გაიკრიფნენ. საკანი დაცხრა. ახლაღა გავიგონე, რომ მთელი ციხე, უკლებლივ ყველა კორპუსი და საკანი ღრიალებდა: „ქურდებსა სცემენ!!!“

(ჭაბუა ამირეჯიბი, „დათა თუთაშხია“)

ევროასოცირებული კარანტინი

თენგიზ სხირტლაძის ნახატი

ბალანდისა და პერედაჩის მოლოდინში კიდევ ერთი წელი გავიდა და საბოლოოდ დავრწმუნდი, რომ ქართველები მართლაც ღვთის რჩეული ერი ვართ. ყოველგვარი სარკაზმისა და ირონიის გარეშე ვამბობ — ჩვენ ვართ ღმერთის რჩეულები, იღბლიანები. ჩვენ ნარდის იმ მოთამაშეს ვგავართ, თითებით რომ ითვლის, პირველ შაში-ბეშზე დიდხანს რომ ფიქრობს, ყველაზე საჭირო დუ-იაქეზე დიდხანს რომ წუწუნებს, მოკლედ — თამაში არ იცის და... მაინც იგებს. იგებს და ვერ ხვდება, რომ უმართლებს, ძალიან უმართლებს. ჰგონია, რომ კარგად თამაშობს და მოგებას იმსახურებს და ასე გრძელდება, მაგრამ როდემდე?

არც ჩვენ ვიმსახურებთ მთას, ზღვას, ტყეს, ტბას, მდინარეს, ლაღიძეს, ცაბაძეს, კოსტავას, მამარდაშვილს, ჭილაძეს, დოჩანაშვილს, მესხს, ყიფიანს, ქვევრის ღვინოს, დედასპურს, გუდის ყველს... არ ვიმსახურებთ აჭარულს, მთიულურს, გურულ ხასანბეგურას, მეგრულ ნანას, რაჭულ რაშოვდას და, მრავალჟამიერს ხომ არ ვიმსახურებთ და არ ვიმსახურებთ!!!

დედამიწაზე რამდენიმე ათასი ეთნოსი ცხოვრობს, ათეულობით ათასი ენაა, მაგრამ სახელმწიფო ორასამდეა, ხოლო დამწერლობა — ათზე მეტი და თხუთმეტზე ნაკლები. საქართველო სახელმწიფოა, სახელმწიფო ენა — ქართული. არ ვიმსახურებთ, მაგრამ გვაქვს და სადღაც, კოსმოსში, უსასრულობაში ჯერ კიდევ მიფრინავს „ჩაკრულო“ და ბოლოს და ბოლოს, როდესაც ვინმე დიდთვალება, დიდყურება, სასაცილოდ მწვანე კაცუნა მოუსმენს, აღფრთოვანდება და ჩვენს შესახებ კარგის მეტს არაფერს იფიქრებს.

მოხვალ დედამიწაზე, ამხანაგო ჭიპილია და სიტყვასიტყვით გაიმეორებ დიდი ზურაბ მარშანიას მიერ 2009 წელს, ლევან მიქელაძის დაკრძალვაზე წარმოთქმულ სიტყვებს: „ჩვენ არ ვიმსახურებთ არც გამსახურდიას, არც შევარდნაძეს და არც სააკაშვილს. კობა ბექაური უნდა იყოს ჩვენი პრეზიდენტი“.

ისე, ბატონო ზურაბ, მარშანიავ, ბატონო დავით, მარღანიავ, ბატონო დავით, ზარდიაშვილო, ბატონო დავით, ბეჟაშვილო, ბატონო ბესო, საბაშვილო, ბატონო გოგიტა, ქერქაძევ, ბატონო მალხაზ, ჩემიავ, ბატონო ზვიად, გელაშვილო, ბატონო გუგა, სამხარაძევ, ბატონო ზურაბ, დათუაშვილო, ბატონო თემურ, დოლიძევ, ბატონო ბეჟან, მესხელო, ბატონო გოჩა, თერგიაშვილო, ბატონო კოტე, მახარაშვილო, ბატონო ანდრიაძეებო, ბატონო...

ბატონებო, ზვიად სიჭინავას რას უწუნებთ?

ბატონო, ბატონებო? ვერა გავიგე. როგორ? თქვენ ვინ გეკითხებათ?! თქვენი აზრი ვის აინტერესებს?! თქვენი ხმა არ ისმის, არ ითვლება და არ იწონება?!

რა უნდა საკანში სასწორს? „ტარასტა, აბეეედ... პერედაჩები მოვიდა, ტარასტაააა... ქურდებსა სცემენ“, — საკანში მხოლოდ ეს ისმის. ამიტომაც ჰქვია ამ საკანს კარანტინი, სადაც ყველაზე საპატიო ადგილი პარაშას აქვს მიჩენილი. პარაშა სახელად ერთიანი ნაციონალური მოძრაობა.

არა და არ დაადგა საშველი მაგ პარაშის გატანას, შემდეგ — საკნის დასუფთავებას, იატაკის დაგებას, ჭერისა და კედლების შეთეთრებას, კარ-ფანჯრების ჩასმას (ზოგიერთი კარი საერთოდ არ იღება, ზოგიერთის გასაღები კი რჩეულ ერთეულთა ხელშია), ბავშვებისთვის სასწავლო კუთხის მოწყობას, ავეჯის დადგმას, სველ წერტილებს, სამზარეულოს, საკუჭნაოს, მაცივარში პროდუქტს, რაფებზე ყვავილებს, აივანზე დროშას, თავში ცოდნას, მკლავში ძალას, გულში რწმენას, სიყვარულს, სიკეთეს, ერთგულებას, თავმდაბლობას, გაგებას...

კაცობაა მთავარი, თორემ წვერ-ულვაში კონჩიტასაც აქვს. ინ ქოლორ, ძმებო, ცვეტში.

პარაშის ადგილმდებარეობა კი უცვლელია. რა მნიშვნელობა აქვს, სად დადგამ, ცენტრში, მაღლა თუ კუთხეში, ის მაინც აქ არის, მყრალ და საშიშ სიახლოვეში, კოჰაბიტაციაში. არა და არ დაადგა საშველი. საერთოდ, დაადგა რამეს საშველი თუ წლის დასასრულს ისევ იქ ვართ, სადაც წლის დასაწყისში ვიყავით?

იანვარში ვწერდი: „იმ დღეს სოციალურ ქსელში ეწერა, პროკურატურიდან თეთრი კვამლი ჯერ არ ამოსულაო. გვპირდებიან, რომ მომავალ კვირაში ამოვა. იმედი მაქვს, რომ ეს იქნება მართლაც თეთრი კვამლი და არა ნაცრისფერი, რომელიც ზოგისთვის თეთრია და ზოგისთვის შავი. ვინმე შოთაძე, რომელიც, ზოგიერთის ინფორმაციით, ათი წლის წინ პროკურატურის სტაჟიორი იყო, ზოგი კი ირწმუნება, რომ გვიჩიანის საქმეს სწორედ ის იძიებდა... დავუშვათ და, სტაჟიორი იყო... სტაჟიორად დარჩა თუ დააწინაურეს? დააწინაურეს. ალბათ, დაიმსახურა და დააწინაურეს. არ მინდა, ბატონო, ადეიშვილის დაწინაურებულები და, საერთოდაც, გუშინდელ სტაჟიორებს და შემდეგ დაწინაურებულებს ისევ დღევანდელი სტაჟიორი მირჩევნია, რომელსაც ნაცების დროს უკადრებელი არ უკადრია და დაწინაურება არ დაუმსახურებია. ამას ზოგადად ვამბობ, შოთაძე არაფერ შუაშია. ახლა ხომ ასეა — ენჯეოებისგან შექმნიან საკონკურსო კომისიას და კონკურსში იმარჯვებს ის, ვისაც უფრო მეტი დედიმისისა აქვს მირთმეული, ხოლო თუ მირთმეულის რაოდენობა თანაბარია, გამარჯვებულად ის ცხადდება, ვინც უფრო დიდი კოვზით ჭამდა“.

გასულ კვირაში კი, წლის ბოლოს, ირკვევა, რომ პროკურატურა რეფორმას საჭიროებს და რომ პროკურატურაში შეიქმნება სპეციალური დეპარტამენტი, რომელიც შეისწავლის ქონებრივ დავებს, დააბრუნებს წართმეულს, აღადგენს სამართლიანობას...

ამ ორი წლის განმავლობაში აღნიშნული დეპარტამენტის შექმნის აუცილებლობის შესახებ ბევრი ითქვა და ბევრი დაიწერა, ერთი წლის წინ კონფერენციაც ჩატარდა, მაგრამ ვერ ხარობს ეს ცერცვი კედელზე და შეეკითხე თუ გინდა. თუ გინდა, თუ გსურს, ვისაც გსურთ და სხვა.

პირველად იყო ნება სიტყვის წარმოთქმისა, შემდეგ ფიქრი და მხოლოდ ამის შემდეგ — სიტყვა. ჯერ იყო ნება.

პროკურატურასთან დაკავშირებით არ ყოფილა ნება, არც ბენზინის ფასებთან დაკავშირებით ყოფილა ნება, ხოლო საკადრო საკითხებზე იყო მხოლოდ სიტყვა — „სანთლით დავეძებთ“. ნების გარეშე კი სიტყვა მხოლოდ ჰაერია, სუნი, პარაშის სიახლოვეს რომ იგრძნობა. ბუასილის სანთლით თუ ეძებდნენ... მხოლოდ ბუასილის სანთლით და პარაშის სიახლოვეს თუ აღმოაჩენ ძალიან ბევრს, ისეთს, რომლებიც დღეს ხელისუფლებაში არიან.

ბევრჯერ გვინახავს, გავცნობივართ ასეთი ტიპის გამოკითხვებს — „რას ფიქრობთ ხელისუფლებაზე?“, „რომელი მინისტრის საქმიანობა მოგწონთ?“, „რომელი პოლიტიკოსი იწვევს თქვენში ნდობას?“... მაგრამ გავიხსენოთ, რომელიმე ხელისუფლების წევრებს შორის ერთხელ მაინც თუ ჩატარებულა გამოკითხვა, რომ გაგვეგო, რას ფიქრობს ხალხზე თავად ხელისუფლება. თუმცა, ყოველგვარი გამოკითხვის გარეშეც, თავად ხელისუფლების წარმომადგენლები, საკუთარი ქცევით გვაგრძნობინებენ ხოლმე თუ რას ფიქრობენ სინამდვილეში მაშინ, როცა ხმამაღლა აცხადებენ, რომ „ხალხი ბრძენია“.

ფიქრობენ ხელფასებზე, პრემიებზე, დანამატებზე, კაბინეტებზე, ავტომობილებზე, რომანტიულ მოგზაურობაზე, მრგვლად და ცივად მოხარშულ დედლებზე, ციკნებზე, გოჭებზე... ისე კი, მგონია და დარწმუნებულიც ვარ, გოჭებზე მხოლოდ ღორები ფიქრობენ, მაგრამ რას ფიქრობს ჩინოვნიკი, როდესაც აცხადებს, რომ თანხა, რომელიც ხელფასთან ერთად დაერიცხა, არის არა პრემია, არამედ დანამატი? ის ფიქრობს, რომ ხალხი სულელია.

ბოლო მაგალითი — აიფონები, რომლებიც ხადურმა და მისმა ხელქვეითებმა იჩუქეს. ხადურმა განაცხადა, აღნიშნული ტექნიკა კონტრაბანდული გზით შემოჰქონდათ, მათში გადასახადების გადამხდელთა ფული არ არის გადახდილი და სრული უფლება გვაქვს, ჩვენთვის დავიტოვოთო. ისა და... ვინ გადაუხადა ფული იმ მებაჟეს, ვინც კონტრაბანდული საქონელი აღმოაჩინა?

ბევრი რომ არ გავაგრძელო, ყველანი, ბუასილის სანთლით არიან აღმოჩენილები იმ პარაშის სიახლოვეს, რომლის გატანაც აუცილებელია, რათა შევინარჩუნოთ სახელმწიფო, რომელიც, ასე თუ ისე, გვაქვს, მაგრამ რომელიც არ დაგვიმსახურებია. ჯერ-ჯერობით ის დავიმსახურეთ, რომ ბესელიათი დაწყებული ვერულაშვილით გრძელდება, რაც ნამდვილად ჯდება ლოგიკაში. ჟანრის კანონია — თუ პირველ მოქმედებაში კედელზე თოფი კიდია, მესამე მოქმედებაში ის აუცილებლად გაისვრის; თუ პირველ მოქმედებაში კედელზე კიდია ცოცხი, მესამე მოქმედებაში მას ვიღაცას გაუყრიან; თუ პირველ მოქმედებაში სცენაზე პარაშა დგას და მეორე მოქმედებაშიც დგას, მაყურებელი დარბაზს მესამე მოქმედების დაწყებამდე ტოვებს.

და თუ პარაშის წინაშე თავისმართლებით ხარ დაკავებული და ამას ირაკლი სესიაშვილის პირით აკეთებ, პარაშა იმდენად თავხედდება, რომ ამბობს იმას, რაც ქლიბზე უქლიბესმა დავით ბაქრაძემ გასულ კვირაში თქვა — „პირველი ქვა იმან გვესროლოს, ვინც ჩვენზე უფრო უცოდველია“.

„გცემდი, მაგრამ ზარატუსტრა უფლებას არ მაძლევს“, — ოსტაპ ბენდერის ამ სიტყვებს სიამოვნებით გავუმეორებდი ბაქრაძეს და მთელ ნაციონალურ მოძრაობას, მაგრამ ასოცირების ხელშეკრულება უფლებას არ მაძლევს. არ გვაძლევს უფლებას, სიტყვაზე დავიჭიროთ და ჩავქოლოთ, თუნდაც იმის გამო რომ ყველანი მათზე ცოდვილები ჰგონიათ, მაგრამ მინდა გითხრათ, რომ ბაქრაძეს ეს ჩვენთვის არ უთქვამს, უთხრა მათ, ვისაც ელაპარაკება და ელაპარაკება მხოლოდ მათ, ვისი მაკომპრომეტირებელი ფარული ჩანაწერებიც კასპის ერთ დიდ კლდეში არა, მაგრამ აეროპორტის ტრასაზე მდებარე ბეტონის კანტორაში საიმედოდ აქვს გადანახული.

ყველაზე სამწუხარო კი ეს სიტყვაა — „საიმედოდ“. მაგათი იმედი ჩვენი სასონარკვეთაა, ჩვენი ოცნება — ჩვენივე იმედგაცრუება.

ოცნება რომ ლადო სადღობელაშვილის დასაცავი გახდება, წამლების ფასის შემცირებაზე კახა ოქრიაშვილმა უნდა იზრუნოს, ადამიანის უფლებები გია ბარამიძემ უნდა დაიცვას, შეუსრულებელი დაპირებები ათთეთრიანმა ჯაბა სამუშიამ, ხუთთეთრიანმა გიორგი ახვლედიანმა და უფასო ინგა გრიგოლიამ უნდა შეგახსენონ და უნდა იყო გახედნილი, ვითარცა ცხენი და მორჩილი ვითარცა ცხვარი, ზვიად ქორიძის შესაწყალებელი რომ არ გახდე.

უნდა იყო გამჭვირვალე, უფერო და უსუნო, ვითარცა ბუნებრივი აირი და უნდა იყო არაბუნებრივად გულმავიწყი, თორემ მოვა ეკა გიგაური და თუ გონებაში უცაბედად წამოგიტივტივდება, რომ ეს ქალბატონი ერთ დროს სააკაშვილის ყველაზე დახურული უწყების ერთ-ერთი ხელმძღვანელი იყო, მოვა ძია რიჩარდიც, რომელსაც მხოლოდ ელგებეტე ცრემლების სჯერა.

ცხენი დასრულდა, ცხვრის გეშინოდეთ, ხალხო!!! — ეს ჟანრის კანონი არ გეგონოთ, ეს პარაშის კანონია და ჩვენ კანონმორჩილი ხალხი ვართ.

ვ.დ.ვ (ვისხდეთ და ვიძახოთ) კურკალამ რომ დაინახა, აღარავინ რასმე მერჩისო, სასწრაფოდ წამოჯდა და ამის შემდეგ მთელი იმ ომის მანძილზე სულ ერთი და იგივე იძახა: „ვა�ა, ე რა ხდება, კაცო!..“ — ამას იტყოდა, დაბეგვილ ადგილებზე ხელს წაივლებდა, დააყოლებდა: „უჰ, უჰ, ვაი, ვაი!“ — და თავიდან იწყებდა: „ვააა, ე რა ხდება, კაცო!..“

(ჭაბუა ამირეჯიბი, „დათა თუთაშხია“)

ექსკლუზიური ინტერვიუ სასჯელაღსრულების მინისტრთან

რუსუდან შელია
557-100-768

სასჯელაღსრულების სისტემა ხელისუფლებისთვის ერთ-ერთ მთავარ გამოწვევად რჩება. უწყებაში პრობლემების არსებობას ახალი ხელმძღვანელობაც არ უარყოფს და საკადრო თუ სტრუქტურული ცვლილებებისთვისაც ემზადება. რა პრიორიტეტებს დაისახავს სამინისტრო 2015 წელს და როგორ აპირებს „კრიმინალურ ავტორიტეტებთან“ გამკლავებას ახალი ხელმძღვნელობა? „ვერსიის“ კითხვებს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის ახალი მინისტრი გიორგი მღებრიშვილი ექსკლუზიურად პასუხობს.

გიორგი მღებრიშვილი: „პენიტენციურ სისტემაში არაერთი პრობლემაა“

— ბატონო გიორგი, წლის დასასრულს, შეაჯამეთ, რა შეიცვალა პენიტენციურ სისტემაში?

— სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრომ ბოლო ორი წლის განმავლობაში უდიდესი შრომა გასწია, რომ მძიმე მემკვიდრეობისგან გავთავისუფლებულიყავით და კონკრეტული შედეგებისთვის მიგვეღწია. ზოგადად, ხელისუფლებას ურთულესი ამოცანის შესრულება მოუწია — შიშსა თუ არაადამიანურ მოპყრობაზე დამყარებული სისტემის გარდაქმნასა და ადამიანის უფლებათა დაცვაზე ორიენტირებული ინსტიტუტის ჩამოყალიბებას ვგულისხმობ. 20-ზე მეტი დიდი და მცირე ინფრასტრუქტურული პროექტი განხორციელდა. საკანონმდებლო ცვლილებები შევიდა პატიმრობის კოდექსში, რითაც პატიმართა უფლებრივი მდგომარეობა და საცხოვრებელი პირობები გაუმჯობესდა. წარმატებით განხორციელდა პენიტენციური ჯანდაცვის რეფორმა. მიმდინარეობს C ჰეპატიტის მკურნალობის, დიაგნოსტირებისა და პრევენციის უპრეცედენტო პროგრამა. სასჯელაღსრულების სისტემის თანამშრომლებისა და სამედიცინო პერსონალისთვის დაინერგა ექსკლუზიური სასწავლო პროგრამები. არსებითი ცვლილებები გატარდა პრობაციის სისტემის მიმართულებით. ამოქმედდა თავისუფლების შეზღუდვის დაწესებულება, რომელიც პირველია სამხრეთ კავკასიაში და რეაბილიტაცია-რესოციალიზაციის იდეას ემსახურება.

მიმდინარეობს სასჯელის ინდივიდუალური დაგეგმვისა და რისკების შეფასების ინსტრუმენტებზე მუშაობა, რომლებიც მალე ამოქმედდება და გააუმჯობესებს მსჯავრდებულთა რეაბილიტაციის პროცესს. თუმცა, მიღწეული შედეგის მიუხედავად, კვლავ რჩება გამოწვევებიც — რიგი ინფრასტრუქტურული საკითხები, სისტემაში მომსახურეთა კვალიფიკაცია... ამ საკითხების მოგვარებას დრო და შესაბამისი სახსრები სჭირდება. პრობლემების გადაჭრის გეგმა მზადაა და რეალურ ცვლილებებს საზოგადოება მალე დაინახავს.

— წელს პატიმრებმა ციხეში შიმშილობა რამდენჯერმე გამოაცხადეს, დაფიქსირდა მათი ცემის ფაქტები, იყო გარდაცვალების შემთხვევებიც. არის თუ არა ეს სუსტი მართვის შედეგი და რა მექანიზმით აპირებთ მსგავსი პრობლემების გადაჭრას?

— გეთანხმებით, პენიტენციურ სისტემაში არაერთი პრობლემაა, ამიტომ დავიწყეთ ფართომასშტაბიანი რეფორმა, რომელიც იმედია, მინიმუმამდე დაიყვანს ყველა რისკსა თუ პრობლემას. პატიმრებმა არაერთხელ მიმართეს პროტესტის უკიდურეს ფორმას, თუმცა მათი მოთხოვნები, ხშირ შემთხვევაში ჩვენ არ გვეხებოდა — ისინი, ძირითადად, ითხოვდნენ საქმეების ხელახლა გამოძიებას, რაც ჩვენი კომპეტენციის ფარგლებს სცდება. არცთუ იშვიათად, ბრალდებული ან მსჯავრდებული მოსალოდნელი სასჯელის არიდების მიზნით მანიპულირებს საზოგადოებრივი აზრით და ცდილობს, ამ გზით მოახდინოს გავლენა ადმინისტრაციისა თუ გამოძიების გადაწყვეტილებებზე. მაგალითად, რამდენიმე კვირის წინ, სახალხო დამცველის ოფიციალურ ვებგვერდზე განცხადება გავრცელდა, სადაც მოყვანილი იყო სახალხო დამცველის რწმუნებულებისთვის ბრალდებულის მიერ მიცემული ახსნა-განმარტება. პატიმარი აღნიშნავდა, თითქოს სასჯელაღსრულების დაწესებულების თანამშრომლებმა მის მიმართ დანაშაულებრივი ქმედებები ჩაიდინეს. რეალობა კი სხვაა: ამ ბრალდებულმა №3 დაწესებულების ინსპექტორ-კონტროლიორს ფიზიკური და სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენა. საქმეზე ჩატარდა შესაბამისი საგამოძიებო მოქმედებები და დაინიშნა სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზებიც. მიღებული შეტყობინების საფუძველზე, ბრალდებულის მიმართ იმავე დღეს დაიწყო გამოძიება. ამ ბრალდებულს ბოლო სამი თვის განმავლობაში სარეჟიმო პირობები 15-ჯერ ჰქონდა დარღვეული, არ ემორჩილებოდა დაწესებულების შინაგანაწესს და გამოირჩეოდა აგრესიულობით. ასეთ შემთხვევაში სახალხო დამცველის მიერ გადაუმონმებელი ინფორმაციის გავრცელებამ შეცდომაში შეიყვანა საზოგადოება და პატიმრები სხვადასხვა სახის შანტაჟის პროვოცირებისკენ წაახალისა. რეალობა სხვაგვარია პატიმრების ცემასთან დაკავშირებითაც. ზუსტად ვიცი, ციხეებში აღარავის სცემენ და აწამებენ. გავრცელებულ ერთეულ შემთხვევებზე, სისხლის სამართლის საქმეებია აღძრული. ყველა საქმეს, რომელზეც გამოძიება არ დაწყებულა, გენინსპექცია სწავლობს. ნებისმიერ შესაძლო დარღვევაზე სამინისტრო მკაცრად რეაგირებს. ამ მიმართულებით მუშაობას ვაგრძელებთ — ინსტიტუციური რეფორმის ფარგლებში პენიტენციური სისტემის უსაფრთხოების სამსახურების მოდერნიზაციაც იგეგმება, რაც უსაფრთხოების სტანდარტებს საგრძნობლად აამაღლებს.

— ციხეებში პრობლემა იყო პატიმრების ჯანდაცვაც. C ჰეპატიტის პროგრამის გარდა, რას აკეთებს სახელმწიფო მათი ჯანმრთელობის დასაცავად?

— მედიკამენტებზე დანახარჯი ერთ სულ პატიმარზე 2012-დან 2014 წლამდე ოთხჯერ გაიზარდა. 2014 წლის ივლისში სასჯელაღსრულების ცენტრალური საავადმყოფო გაიხსნა, რომელიც უახლესი სამედიცინო ტექნოლოგიითაა აღჭურვილი და კვალიფიციური პერსონალითაა დაკომპლექტებული. საავადმყოფოში არის 57-ადგილიანი ადაპტირებული საცხოვრისი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისათვის. სასჯელაღსრულების ცენტრალურ საავადმყოფოში წელს 953 პატიმარს გაეწია სამედიცინო მომსახურება. სამოქალაქო სექტორის კლინიკებში კი, სამკურნალოდ, 3421 პატიმარი გავიყვანეთ. შარშან სამოქალაქო კლინიკებში გაყვანის შემთხვევების რაოდენობა 4200-ზე მეტი იყო. 2014 წლის ყველაზე მნიშვნელოვანი ნაბიჯად მაინც C ჰეპატიტის მკურნალობის პროგრამის განხორციელება უნდა ჩაითვალოს. მის ფარგლებში, 173 პაციენტი სრულად განიკურნა. ამჟამად მკურნალობს კიდევ 130 პაციენტი. 2014 წელს ტუბერკულოზის გავრცელების საწინააღმდეგო ეფექტური ღონისძიებებიც გატარდა და კანონმდებლობით არსებული უთანასწორობა ტუბერკულოზით დაავადებულ მსჯავრდებულთა და ბრალდებულთა შორის აღმოიფხვრა. შედეგად, ტუბერკულოზის სამკურნალო და სარეაბილიტაციო 19 ცენტრში უკვე ბრალდებულებსაც შეუძლიათ სამედიცინო მომსახურების მიღება. აღსანიშნავია, რომ სისტემაში ტუბერკულოზის ახალი შემთხვევების რიცხვი ერთი წლის განმავლობაში 129-დან 47-მდე შემცირდა.

— სამინისტროს პრიორიტეტი რა იქნება 2015 წელს, მით უმეტეს, ე.წ. კრიმინალური ავტორიტეტები მასშტაბური შიმშილობითა და ბუნტით იმუქრებიან.

— უმთავრესი მიზანი სისტემის გაჯანსაღებაა. ამისთვის, ჩემი ინიციატივით სასჯელაღსრულების სისტემის ყველაზე მასშტაბური ინსტიტუციური რეფორმა შემუშავდა. მჯერა, ეს რეფორმა არსებულ ხარვეზებს აღმოფხვრის და ევროპულ სტანდარტებთან დაგვაახლოებს. ინსტიტუციური რეფორმის მთავარი მიზანი პენიტენციური სისტემის ერთიანი მართვის თანამედროვე, ეფექტურ მოდელზე გადასვლა, უსაფრთხოების სამსახურების მოდერნიზაცია, მსჯავრდებულთა რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის გაძლიერება და ადამიანის უფლებათა დაცვის ეფექტური შიდამონიტორინგის ერთიანი სისტემის ჩამოყალიბებაა. ასევე, მნიშვნელოვანია ეფექტური ადმინისტრირება და ისიც, რომ პენიტენციურ სფეროში არსებობდეს სტაბილური კარიერული სისტემა. დიდ მნიშვნელობას ვანიჭებთ პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლებას და თანამშრომელთა სოციალური, სამართლებრივი და უსაფრთხოების გარანტიების გაზრდას. რეფორმის შედეგი უნდა იყოს რეაბილიტირებული მსჯავრდებული და უსაფრთხო გარემო. ესაა ჩვენთვის პრიორიტეტი. თუმცა, ვერც ერთი რეფორმა ვერ იქნება წარმატებული საზოგადოების თანადგომის გარეშე. ამიტომ, როგორც პრემიერ-მინისტრმა აღნიშნა, პროცესი გამჭვირვალედ წარიმართება და მასში არასამთავრობო სექტორიც ჩაერთვება.

— უწყებაში საკადრო ცვლილებებს მართლა გეგმავთ?

— გარკვეული ცვლილებები, სავარაუდოდ, განხორციელდება სასჯელაღსრულების დეპარტამენტის საშუალო და ქვედა რგოლში პენიტენციურ სისტემას ახალი სისხლი ნამდვილად სჭირდება. ეს არ ნიშნავს, რომ პენიტენციური რეფორმა თანამშრომლების მასობრივ დათხოვნას გულისხმობს. ღირსეული, კვალიფიციური და პატიოსანი თანამშრომლები დარჩებიან. მათ სათანადოდ დავაფასებთ.

პატრიარქმა მრევლს დამდეგი შობა-ახალი წელი მიულოცა

სამების საკათედრო ტაძარში 2015 წლის ბოლო საკვირაო ლიტურგია ჩატარდა. წირვა სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია მეორემ აღავლინა.

„ღმერთმა ბედნიერი შობა-ახალი წელი გაგითენოთ თქვენ და საქართველოს. დალოცვილი და გახარებული გამყოფოთ მამა ზეციერმა“, — ბრძანა პატრიარქმა წირვის დასრულების შემდგომ.

„პირველი“

ხანძრის შედეგად დაღუპული 7 წლის ბიჭის დაკრძალვის ხარჯებს ისნის გამგეობა დაფარავს

უბედური შემთხვევის ადგილზე ისნის გამგეობის წარმომადგენლები იმყოფებოდნენ. სოციალურად დაუცველ ოჯახს მერიაც დაეხმარება.

დაღუპული ბავშვის მამა დამწვრობის ცენტრშია მოათავსებული. დამწვრობის ცენტრის ხელმძღვანელის გუგა ქაშიბაძის ინფორმაციით, პაციენტს დამწვრობის ცენტრში გადაყვანამდე სისხლძარღვებსა და მყესებზე ოპერაციული მკურნალობა ჩაუტარდა.

„პაციენტი რეანიმაციისა და ინტენსიური თერაპიის განყოფილებაში წევს და მისი მდგომარეობა მძიმეა“, — აღნიშნა ქაშიბაძემ.

უბედური შემთხვევა ისნის ტერიტორიაზე არსებული სამხედრო ჰოსპიტლის ძველ შენობაში მოხდა, სადაც ამჟამად იძულებით გადაადგილებული პირები ცხოვრობენ. ცეცხლი 9-სართულიანი შენობის მე-5 სართულზე სავარაუდოდ, შეშის ღუმელისგან გაჩნდა. ამ დროს სახლში დედა და 4 შვილი იმყოფებოდა. ადგილზე სახანძრო და სასწრაფო ბრიგადები მალევე მივიდნენ, თუმცა ბავშვის გადარჩენა ვერ მოხერხდა. ხანძრის შედეგად ოჯახის ერთ-ერთი წევრი, 7 წლის ბიჭი ადგილზე გარდაიცვალა. დაშავდა მისი სამი ძმაც. ისინი იაშვილის კლინიკაში გადაიყვანეს, თუმცა მათ ჯანმრთელობას საფრთხე აღარ ემუქრება. ოჯახი სოციალურად დაუცველია.

„პირველი“

AirAsia-ს კიდევ ერთმა თვითმფრინავმა ავარიული დაშვება განახორციელა

ავიაკომპანიის კუთვნილი თვითმფრინავი, რომელიც შიდარეისს ასრულებდა, ტექნიკური გაუმართაობის გამო იძულებული გახდა, აეროპორტში დაბრუნებულიყო.

ამ დროისთვის ავიაკომპანიის კუთვნილ კიდევ ერთ თვითმფრინავს ეძებენ. რადარებიდან გაუჩინარებულ ლაინერზე ბოლო ინფორმაციით, სულ 155 მგზავრი და ეკიპაჟის 7 წევრი იმყოფებოდა. მგზავრების უმრავლესობა ინდონეზიის მოქალაქეა.

Airbus 320-200 რეისის ნომრით QZ8501 სინგაპურში ჩანგის აეროპორტში ადგილობრივი დროით, 08:30 საათზე უნდა დაშვებულიყო, თუმცა ინდონეზიურ ავიასივრცეში მასთან კონტაქტი დაახლოებით 07:24 საათზე გაწყდა.

პილოტმა საკონტროლო პუნქტთან უკანასკნელი კავშირისას რთული მეტეოროლოგიური პირობების გამო მარშრუტის შეცვლა ითხოვა, რის შემდეგაც მასთან კონტაქტი დაიკარგა.

New Straits Times-ის ინფორმაციით, თვითმფრინავი სავარაუდოდ, სუმატრის აღმოსავლეთ სანაპიროსთან, კუნძულ ბელიტუნგთან ზღვაში ჩავარდა, სადაც სამძებრო-სამაშველო სამუშაოები მიმდინარეობს, თუმცა თვითმფრინავის ნარჩენების პოვნა ჯერჯერობით ვერ ხერხდება.

მომხდარის გამოძიება უკვე დაწყებულია. ავიაკომპანია AirAsia აცხადებს, რომ თვითმფრინავი გამართული იყო. რეისზე 23-მა მგზავრმა დააგვიანა.

„პირველი“

მიხეილ სააკაშვილი: „პუტინს პატიოსანი ადამიანის თვალები აქვს, მე მას ვენდე და არ შევმცდარვარ“

გიორგი იაშვილი

საქართველოს პრემიერ-მინისტრმა, ირაკლი ღარიბაშვილმა, მედიას წლიური ანგარიში წარუდგინა. სწორედ ამ შეხვედრის დროს ღარიბაშვილს ღიად მოსთხოვეს ეთქვა, რომ პუტინი საქართველოს მტერია. ბატონმა ირაკლიმ ეს არ გააკეთა და საპარლამენტო ოპოზიციამ მაშინვე ერთი ამბავი ატეხა, ხელისუფლება საგარეო კურსს ცვლის და რუსეთისკენ მიდისო. რუსეთისკენ სვლის რა გითხრათ, მაგრამ ფაქტია, რომ ყოფილი ხელისუფალნი ჯიუტად ცდილობენ ამომრჩეველს წარსული დაავიწყონ. დაავიწყონ ის, რასაც თავად აკეთებდნენ და ისიც, თუ როგორ მეტყველებდა მათი ლიდერი ვლადიმერ პუტინზე.

ახლა შესაძლოა ვინმე მოგვედავოს, სააკაშვილი პუტინის დაუძინებელი მტერი იყოო მუდამ, მაგრამ რა ვუყოთ 2004 წლის 12 აპრილს გაზეთ „იზვესტიაში“ დაბეჭდილ სააკაშვილის სტატიას, რომელშიც ის რუსეთის ლიდერს არათუ ხოტბას ასხამს, არამედ სიღრმისეულად აქვს შესწავლილი რუსეთის პირველი პირის თვალების ელვარება, სულის სიღრმე და... სააკაშვილის სიტყვები თითქმის არაფრით განსხვავდება იმ წერილისგან, ნოდარ დუმბაძემ ზურიკელას მერისთვის რომ მიაწერინა. ჰოდა...

რაღა ჰოდა, აი რას ამბობს **მიხეილ სააკაშვილი** პუტინზე: **„მე მივხვდი, რომ პუტინს ყოველთვის ატყუებდა შევარდნაძე, ამიტომ მას ნდობა ჰქონდა დაკარგული საქართველოს ლიდერებისადმი. შევარდნაძე არ ასრულებდა არც ერთ დანაპირებს. მე რომანტიკული ადამიანი ვარ და ამიტომ შემიძლია, თამამად ვთქვა — პუტინს პატიოსანი ადამიანის თვალები აქვს, სწორედ ასე — პატიოსანი ადამიანის თვალები. მე ვენდე მას და დამიჯერეთ, არ შევმცდარვარ. მან ყველა დანაპირები შეასრულა...“**

როგორია?! ამ ჩვენს რომანტიულ პრეზიდენტს მუზა რომ მოსვლოდა, ეგებ პუტინის თვალებზე ლექსიც კი დაეწერა (ეგებ დაწერილიც აქვს, მაგრამ იმავე ზურიკელასი არ იყოს, მალავს ეტყობა), მაგრამ როგორც კოტე ყუბანეიშვილი იტყოდა, არ განუხებენ მუზები, სანამ არ წაიკუზებიო და სანამ პატიოსანმა თვალებმა სააკაშვილი დაოთხილი არ არბენინა და გორში არ „წაკუზა“, მანამ ვერ და არ დაიჯერა, რომ შეცდა. პრინციპში, მხოლოდ ამაში კი არა, იმაშიც შეცდა, ტელევიზიით მსოფლიოს რომ გამოუცხადა, რუსეთთან ომი მოვიგე და ყვარყვარესავით გაჭიმული აპირებდა ცხინვალში შესვლას, მაგრამ იმავე ყვარყვარესავით იკითხა ბოლოს — მე აქ საიდან მოვხვდიო?!

რა გამოდის?! როცა სააკაშვილს პუტინის თვალებზე აბოდებდა და მზად იყო, მის პატიოსნებაზე თავი დაედო, მთელი ნაცელიტა ტაშს უკრავდა, ხოლო, როცა ღარიბაშვილმა ოფიციალურად არ თქვა ადამიანზე, მტერიაო, თურმე ქვეყნის მოღალატეა. ისევ სააკაშვილს და მის ინტერვიუს მივუბრუნდეთ.

„შევარდნაძეს, ამ რუსეთის მოძულეს, ხელისუფლებაში კორუფციის ბუდე ჰქონდა. შევარდნაძე რუსმა ძალოვნებმა მოიყვანეს ხელისუფლებაში და სწორედ მათ შეუნარჩუნეს ხელისუფლება ათი წლის განმავლობაში. შევარდნაძემ აჭარა აბაშიძეს გადაულოცა და მე ვაპირებ დავიბრუნო. ვეუბნები ასლანს, რომ ჩვენს იურისდიქციას დაექვემდებაროს, ვცდილობ, მომთმენი ვიყო, მაგრამ მოთმინებასაც აქვს საზღვარი. აფხაზეთთან დაკავშირებით სერიოზული მოლაპარაკებები გვექნება მე და პუტინს და მჯერა, ყველაფერი ისე იქნება, როგორც ორივე მხარეს სურს“, — ესეც სააკაშვილის სიტყვებია.

გაგიკვირდებათ და, თურმე მთელი შეგნებული პოლიტიკოსობის პერიოდში სააკაშვილი შევარდნაძეს რუსეთის აგენტს რომ ეძახდა, 2004 წელს ფიქრობდა, რომ საქართველოს ექსპრეზიდენტი რუსეთმოძულე იყო. და იმ კორუფციის ბუდეში ერთ-ერთი უმაღლესი თანამდებობა რომ თავად ეკავა, ეგ ან არ ახსოვს, ან არ უნდა რომ ახსოვდეს. სამაგიეროდ, სააკაშვილის მომხრეები აღაშფოთა იმან, რომ ღარიბაშვილმა არ თქვა, პუტინი მტერიაო.

ზოგადად, ადამიანის მტრად გამოცხადება და თან ასე, ხისტად და ხელაღებით, პოლიტიკურად გაუმართლებელია. ზუსტად ისევეა გაუმართლებელი, როგორც რომელიმე პოლიტიკური ლიდერის თვალების სანდოობაზე საუბარი, მის ხმის ტემბრზე დაკვირვება და მერე იმის მტკიცება, რომ პატიოსანი თვალები სავსებით საკმარისია იმისთვის, ყველაფერზე შეთანხმდეთ.

იმავე ინტერვიუში სააკაშვილი ერთ ისეთ ფრაზას ამბობს, ვისაც არ ახსოვს, ახლაც კი ხმამაღლა გაეცინება: **„პრეზიდენტობა ციხესავით არის. არსად წასვლის უფლება არ გაქვს დამოუკიდებლად, ყველგან დაცვა დაგყვება და გზიდან ვერ გადაუხვევ, მაშინვე გითითებენ, რა უნდა გააკეთო. ხანდახან ვახერხებ ხოლმე გასხლტომას, ახალგაზრდობით მომდის, ალბათ. მეუბნებიან, თავდასხმის არ გეშინიაო და რისი უნდა მეშინოდეს? მე ვიცოდი, რაზეც მივდიოდი და შიში არაფრის მაქვს“.**

არადა, დაცვა ენაგადმოგდებული დასდევდა ხოლმე სააკაშვილს, რომელიც ხან სად დარბოდა და ხან სად. ისიც გვახსოვს, შეზარხოშებული პრეზიდენტი თვითმფრინავიდან რომ ვერ ჩამოჰყავდათ, უკრაინაში გავფრინდეთ სათუხთუხოდო და ისიც, მერე ოჯახის წევრები რომ ეხვეწებოდნენ, ჩამოდი თვითმფრინავიდან, ერთი დღე საქართველოშიც გაათენეო. რაც შეეხება შიშს, უფრო სწორედ, უშიშარ პრეზიდენტს,. მაშინ, გორში, დაცვასაც გაექცა, ჟურნალისტებსაც და საერთოდ, საკუთარ თავსაც. შეშინებული სააკაშვილი წინ გარბოდა, პრეზიდენტი სააკაშვილის მეობა უკან მისდევდა და როგორც იქნა, ერთიცა და მეორეც დაიჭირეს, თუმცა მსოფლიომ ნახა მუხლებგადაყვლეფილი პრეზიდენტი და ვაი, რომ მას მაშინ მთავარსარდალი ერქვა.

2004 წელს სააკაშვილი მომხრე იყო, საქართველოში რუსეთის სამხედრო ბაზები ყოფილიყო და ამას არც მალავდა. მეტიც, რუსეთის ბაზების იმედად იყო პრეზიდენტი და სურდა, მათ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა დაეცვათ: **„აბაშიძე და შევარდნაძე რუსეთის ბაზებს ვერ აფასებდნენ. მჯერა, რუსული ის ბაზები, რომლებიც ახლა საქართველოშია, ჩვენი ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის დაცვაში სერიოზულ როლს ითამაშებენ და საქართველოს ერთიანობის განმტკიცებაში თავის წვლილს შეიტანენ“.**

ევროპისა და ამერიკისკენ მომზირალ სააკაშვილს თურმე რუსული ბაზების იმედი ჰქონდა და ამას არც მალავდა. სავარაუდოდ, მას ისიც ეგონა, რომ ერთი ვიზიტისა და ამ ინტერვიუს შემდეგ, პუტინი დაუძახებდა, აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის გასაღებს მისცემდა და თან მადლობას ეტყოდა იმისთვის, რომ არსებობს.

„ჩვენ ათეულობით კორუმპირებული ადამიანი დავიჭირეთ და უკან მილიონობით დოლარი მოვატანინეთ. ამით დავამტკიცეთ, რომ შევარდნაძის მთავრობა კორუმპირებული იყო“, — ესეც მიშას სიტყვებია.

და ის, რომ დღეს სააკაშვილის მთავრობის წევრები ციხეებში არიან გამწესებული და ნაწილზე ძებნაა გამოცხადებული, არავის ახსოვს. უფრო სწორედ, კი იხსენებენ ხოლმე, მაგრამ მხოლოდ მაშინ, როცა პოლიტიკურად სჭირდებათ, თორემ რეალურად, ბოლომდე არავის არავინ ჩაჰყოლია.

სულ ეს იყო. სააკაშვილი და მისი გუნდი ჯიუტად ცდილობს ვითარების ისე წარმოჩენას, თითქოს ყველაფერი ცუდად არის და ცდილობენ ამომრჩეველს დაავიწყონ ის, რაც თავად უკეთებიათ. არადა, მოსახლეობას ყველაფერი ახსოვს და ახსოვს ისიც, სააკაშვილი ახალ წელს აფხაზეთსა და ცხინვალში რომ უნდა შეხვედროდა და ახლა სამშობლოში ვეღარ ჩამოდის. მიზეზი მარტივია — პატიოსანი კაცის თვალები თავიდან მასაც ჰქონდა და მასაც ბოლომდე ენდო ერი.



„ყარაბაღში ომი თუ დაიწყო, რუსეთი საქართველოზე სამხედრო გზას გახსნის“

მერაბ ბერიძე, 599-45-50-26

საგარეო საქმეთა მინისტრის, თამარ ბერუჩაშვილის შეფასებით, რუსეთსა და საქართველოს ოკუპირებულ რეგიონებს შორის გაფორმებული „მოკავშირეობის ხელშეკრულებები“ ფუნდამენტურად ცვლის ვითარებას რეგიონში. ახალი რეალობის შესახებ „ვერსიას“ ყოფილი პრემიერ-მინისტრი თენგიზ სიგუა ესაუბრა.

— ამ ხელშეკრულებებით რუსეთი უფლებას იღებს, სამხედრო ქვედანაყოფები, რამდენიც და როგორც უნდა, ისე განათავსოს აფხაზეთსა და „სამხრეთ ოსეთში“. ამ ფონზე ყველაზე საშიში ისაა, რომ სომხეთსა და აზერბაიჯანს შორის ვითარება იძაბება. ღმერთმა არ ქნას, თუ იქ ყარაბაღის გამო ომი დაიწყო, რუსეთი აუცილებლად საქართველოზე გადავლას შეეცდება. რუსეთს, სამხრეთ კავკასიაში, ყველაზე ძლიერი სამხედრო ბაზა გიუმრიში აქვს და მის მოსამარაგებლად ჩვენზე უნდა გაიაროს. მსუბუქ შეიარაღებას თვითმფრინავებით მიაწვდის, მძიმე შეიარაღებისთვის კი, არც გვკითხავს, ისე გაიხსნის გზას.

— აფხაზური რკინიგზის გახსნაზე საუბრები რა ჭრილში უნდა განვიხილოთ?

— აქ უფრო რუსულ-სომხური ინტერესები იკვეთება. რკინიგზა რომ გაიხსნას, მისგან საქართველოს სარგებელი მაქსიმუმ 10%-ია. ისევ ის ინტერესია, რუსეთმა სომხეთს, მათ შორის სამხედრო ტვირთები მიაწოდოს. დღეს სომხეთს ძალიან უჭირს მძიმე ტვირთების მიღება, რადგან რუსეთთან უშუალო სახმელეთო კავშირი არ აქვს, ასეთ ტვირთებს საქართველოდან ან ირანიდან იღებენ — ხორბლისა და ნავთობპროდუქტს დაახლოებით 83-85%-ს ფოთიდან და ბათუმიდან, 15-17%-ს — ირანიდან. ეს ტვირთები რომ შევწყვიტოთ, ორ კვირაში რთულ ვითარებაში აღმოჩნდება, ხორბალი გამოელევა. ირანს ზღვით შეუძლია ტვირთების მიღება, მაგრამ ძალიანაც რომ უნდოდეს, მისი პორტიდან სომხეთამდე რკინიგზა ისეა გადატვირთული, მოცულობას ვეღარ მოუმატებს. ამ ფონზე, მძიმე ტვირთების მიღების მხრივ, სომხეთი ჩვენზე ძალიანაა დამოკიდებული, მაგრამ ვიმეორებ, სამხედრო დაპირისპირებისას მძიმე მდგომარეობაში აღმოვჩნდებით — რუსეთი შეეცდება, სახმელეთო გზა გახსნას გიუმრიმდე.

— ამის გათვალისწინებით, რა პოლიტიკა უნდა გაატაროს ქართულმა მხარემ?

— რასაკვირველია, ლანძღვა-გინებას უნდა მოვეშვათ. კიდევ კარგი, ევროპა და აშშ ჩვენს მხარესაა. ეს გვშველის, მაგრამ თუ საჭიროდ ჩათვლის, რუსეთი ითავხედებს, რადგან ძალიან შეშინებულია — 20-25 წლის წინ, ნატო-რუსეთის საზღვარი შუა ევროპაში გადიოდა. დღეს, უკრაინა რომ საბოლოოდ დაკარგოს, უკვე მოსკოვს მიუახლოვდება ალიანსის საზღვარი. პარალელურად, ნატო-მ საქართველოში შესაძლოა მნიშვნელოვანი შეიარაღება შემოიტანოს, ჰაერსაწინააღმდეგო თავდაცვის სისტემა დადგას, რაც რუსეთს ძალიან აშინებს. ნატო-აშშ-ს და რუსეთის ჯამური შეიარაღება რომ შევადაროთ, ერთმანეთთან ახლოსაც ვერ მივა. რუსეთის წლიური სამხედრო ბიუჯეტი დაახლოებით 70 მილიარდია, მარტო ამერიკის შეერთებული შტატების კი — 720 მილიარდი. ძირითადი შეიარაღების პარამეტრებში სხვაობა ფანტასტიკურია. ამ ფონზე, საკვირველია, რუსეთს რისი იმედი აქვს.

ერთადერთი, რისიც ევროპას ეშინოდა, მოსკოვის ბირთვული არსენალია. ჯერ კიდევ პრემიერის თანამდებობაზე ყოფნისას, 4-5-ჯერ ვიყავი შვეიცარიაში. იქ მოსახლეობასაც შევხვდი. ეშინოდათ, ფიქრობდნენ, მესამე მსოფლიო ომი ატომური იარაღის გამოყენებით დაიწყებოდა. ასე რომ მომხდარიყო, რუსეთი ერთ კვირაში განადგურდებოდა, მაგრამ მათ ეშინოდათ, ამ პერიოდში, კრემლი დაარტყამდა პარიზს, ბრიუსელს, ლონდონს... შვეიცარიაში ყველა მოსახლეს სარდაფები ჰქონდა გაკეთებული რუსული ბირთვული საშიშროების გამო, ორი კვირის საკვები, წყალი და მედიკამენტებიც ჰქონდათ მომარაგებული. 1993 წლამდე ასეთი ვითარება მხვდებოდა. მერე კი, ეს საშიშროება თითქოს მოიხსნა. ახლახან დავრეკე შვეიცარიაში და მითხრეს, რომ განაახლეს მარაგის მომზადება — ისევ ცივი ომის მდგომარეობა იქმნება. ამ ფონზე, ჩვენ მაქსიმალურად ფრთხილი პოლიტიკა უნდა გავატაროთ. დასავლეთთან დაახლოება გვჭირდება. სხვა შემთხვევაში დაღუპულები ვართ.

— დღეს ნატო-ს მხრიდან სამხედრო მხარდაჭერა მოსალოდნელია?

— ვიმედოვნებ, გულხელდაკრეფილები არ იქნებიან. გერმანია დაგვეხმარა, ნატო, აშშ-ც გვპირდება — ჯარს კი არ შემოიყვანენ, ტექნიკას, იარაღს გვაძლევენ. ჩვენს ტერიტორიაზე ნატო-ს საწვრთნელი ბაზა იქმნება და რუსული აგრესიის შემთხვევაში, ალიანსს სრული უფლება ექნება, დაიცვას საკუთარი სამხედრო ბაზა. პუტინი ავსტრალიაში „ოცეულის“ სამიტზე იზოლაციაში მოაქციეს. დაბოღმილი პუტინი შეიძლება ისეთ ნაბიჯზე წავიდეს, რუსეთისთვისაც არანორმალური რომ იქნება.

სანტა კლაუსის, ელფებისა და ჯადოსნური ამბების საახალწლო მარკეტინგული ინდუსტრია

მაია მიშელაძე
593-51-90-12

წინასაახალწლო პერიოდი უამრავი საზრუნავითაა გადატვირთული, ვეძებთ საჩუქრებს ახლობლებისთვის, ვიმარაგებთ პროდუქტს საახალწლო სუფრისთვის, ვრთავთ ნაძვის ხეს და ვიღებთ „სელფებს“. „შოპინგიც“ საახალწლო მზადების ერთ-ერთ შემადგენელ ნაწილად იქცა, რადგან სატელევიზიო რეკლამების საშუალებით ვიცით, რომ ამ დროს საყოფაცხოვრებო ტექნიკას, ან ნებისმიერ ნივთს, სპეციალურ ფასად შევიძენთ... უკვე დიდი ხანია, მარტივი, ერთწინადადებიანი მისალოცი ტექსტი — ესა და ეს კომპანია გილოცავთ ახალ წელს, საახალწლო ატრიბუტიკით დატვირთული, ლამაზი ვიდეოკლიპებით შეიცვალა. წინასაახალწლო სატელევიზიო ბადე ამ ტიპის კლიპებით გადაიტვირთა, მაგრამ სწორადაა თუ არა ეს კლიპები შეფუთული, რა ტენდენციები გამოიკვეთა წინა წლებში და რა არის აქტუალური ახლა? „ვერსიას“ პიარკომპანია „ჯეპრას“ უფროსი კონსულტანტი, კახა მაღრაძე ესაუბრება.

რაფომ ჩაანაცვლა თოვლის პაპა სანტა კლაუსმა და რამდენად ეფექტურ ხერხებს იყენებენ კომპანიები გაყიდვების სტიმულირებისთვის

რამდენიმე დღის წინ, სოციალურ ქსელში კახა მაღრაძის საინტერესო ბლოგს გადავაწყდი — „ჯეპრას“ უფროსი კონსულტანტი წერდა, რომ ჩვენს ცხოვრებაში ახალი წელი, უცნაური პერიოდია. უკვე ტრადიციაა, რომ მთელი წლის განმავლობაში ადამიანები შრომობენ, აგროვებენ კაპიტალს, რათა ზაფხულში კარგად დაისვენონ. სწორედ ასეთ ტრადიციად ჩამოყალიბდა ახალი წლის პერიოდში, ორ-სამ კვირაში იმდენი ფულის ხარჯვა, რაც ჩვეულებრივ, სხვა დროს, სამი თვე მაინც გვეყოფოდა: **„უამრავ ადამიანს უნდა უყიდო საჩუქარი, ზამთარშიც კარგად უნდა დაისვენო, ბევრ რესტორანში უნდა წახვიდე და უამრავ დღესასწაულს დაესწრო. საქართველოში ცალკეა ახალი წელი, შობა, მერე ძველით ახალი წელი, ბედობა, ნათლისღება, რაც მთავარია, კორპორატიულ საღამოზეც ხომ უნდა წახვიდე? მოკლედ, საკმაოდ დიდ ფულად რესურსს ვხარჯავთ, რაც მიმართულია გართობაზე, ფართო მოხმარების საგნებსა და საჩუქრებზე. ქცევის ამ კულტურიდან გამომდინარე, მარკეტინგის სისტემა თავისი სანტა კლაუსით, ელფებითა და ჯადოსნური ამბებით, სწორედ ამ ინდუსტრიაზეა აწყობილი. ფაქტობრივად, ახალი წელი ინდუსტრიაა, მარკეტერები კი ის ადამიანები არიან, რომლებმაც ამ ყველაფერს ფეხი უნდა აუწყონ და სწორად გამოიყენონ. ზოგადად, ახალი წელი, დიდი გაყიდვების პერიოდია, ამიტომ ამ დროს, ტელერეკლამებიც საახალწლო თემატიკითაა დატვირთული. მესმის, რომ ახალ წელს, ყველაზე გავრცელებული და ეფექტური ინსტრუმენტი ჯადოსნური თემა და სანტა კლაუსია, რომელიც სურვილებს გვისრულებს და გვასაჩუქრებს“.**

„ჯეპრას“ უფროსი კონსულტანტი 2000-იანი წლების დასაწყისს იხსენებს, როდესაც სატელევიზიო რეკლამის ბაზარი უბრალო და სტანდარტული საახალწლო მილოცვიდან, კონკრეტული სცენარისა და შინაარსის კლიპებზე გადავიდა. სწორედ ამ დროს დაიწყო კლიპების ბუმი, რომლის მთავარი თემა ჯადოსნური ამბავი, სურვილების ასრულება და საახალწლო თემატიკა იყო. **კახა მაღრაძე** გვიხსნის, რომ ასეთი კლიპები მხოლოდ გაყიდვების სტიმულირებაზე კი არაა მიმართული, საიმიჯო ხასიათსაც ატარებს:

„ბაზარი ორ, ძირითად ნაწილადაა გაყოფილი. ერთია „რითეილ“, ანუ საცალო ვაჭრობის ბაზარი, რომლისთვისაც საახალწლო სეზონი მნიშვნელოვანი და გადამწყვეტია. შესაბამისად, გაყიდვების სტიმულირების მიზნით, მათთვის ამ პერიოდის გამოყენება აუცილებელია. მეორე ბაზრის შემთხვევაში კი, სხვა ტიპის კონმპანიები უნდა განვიხილოთ, მაგრამ წინასაახალწლო პერიოდი მათთვისაც მნიშვნელოვანია, რადგან ესაა ინტენსიური კომუნიკაციების დრო. მეორე ტიპის კომპანიები წინასაახალწლო პერიოდს საიმიჯო მახასიათებლების გასაძლიერებლად იყენებენ. ძირითადად, ისინი უკვეთავენ ისეთ კლიპებს, რომლებიც კონკრეტულ გაყიდვებზეა მიმართული. ამის კლასიკური მაგალითი, „საქართველოს ბანკის“ საახალწლო კლიპებია, როდესაც ეს ბანკი უბრალო მილოცვიდან, კონკრეტული შინაარსის კლიპზე გადავიდა. ვგულისხმობ სანტა კლაუსის ცეკვას. ზოგადად, „საქართველოს ბანკის“ ამ კლიპმა, საქართველოში სათავე დაუდო ტრენდს, სპეციფიკურ, საახალწლო კლიპებს, რომლებშიც კომპანიები სანტა კლაუსს იყენებენ. რეალურად, სანტა კლაუსიც მარკეტინგული იდეის პროდუქტია, რომელიც თავის დროზე, კონკრეტულად „კოკა-კოლასთვის“ მოიგონეს. საქართველოში ეს თოვლის ბაბუას ანალოგია. არადა, თოვლის ბაბუაც და „დედ მაროზიც“, საბჭოთა პროპაგანდამ მოიგონა. ისტორიულად, თუნდაც დავით აღმაშენებლის პერიოდში, თოვლის ბაბუა არ არსებობდა. ეს პერსონაჟი არც წინაქრისტიანულ პერიოდში გვხვდება. მოკლედ, თოვლის ბაბუა საბჭოთა პროპაგანდის პროდუქტია, რომელიც სტალინმა შექმნა და საბჭოთა კავშირში შემავალ, 15-ვე რესპუბლიკას გადასცა. „საქართველოს ბანკს“ იმდენად ეფექტური სარეკლამო კლიპი გამოუვიდა, რომ მაშინვე სანტა-კლაუსი შემოვიდა ჩვენს ცხოვრებაში. სწორედ ამიტომ არ მიკვირს, რომ ქართული კომპანიები წინასაახალწლო კლიპებში სანტა-კლაუსს იყენებენ და არა თოვლის ბაბუას, რადგან თანამედროვე ბავშვებისთვის თოვლის ბაბუა აქტუალური აღარ არის. თუ თოვლის ბაბუა გვინდა, მაშინ მას რეანიმაცია სჭირდება, ანუ ვიღაცამ მარკეტინგულად ახალი ამბავი უნდა მოიგონოს და მოგვიყვეს“.

კახა მაღრაძე გვიხსნის, რომ სანტა კლაუსის ლეგენდა „კოკა-კოლამ“ წმინდა ნიკოლოზისგან შექმნა, რომელიც ბავშვების მფარველია. რა თქმა უნდა, ლეგენდა არსებობდა, მაგრამ „კოკა-კოლამ“ გამოიყენა და თანამედროვე სანტა კლაუსის ვიზუალიზაცია განახორციელა. მისი თქმით, კომპანიის მარკეტერებმა, თავის დროზე სანტა კლაუსს შესაბამისი, „კოკა-კოლას“ ფერებში გადაწყვეტილი ტანსაცმელი ჩააცვეს, ლეგენდა გააღრმავეს, რომელსაც ელფები, ირმები, სხვა ჯადოსნური ისტორიები დაუმატეს და საახალწლო ამბავი გვიამბეს: **„დღეს მთელი გასართობი ინდუსტრიაა აწყობილი სანტა კლაუსზე და შესაბამისად, მთელ მსოფლიოში, თხოვნების ასრულების მითოლოგია მარკეტინგში, სწორედ სანტა კლაუსს ეყრდნობა. სხვათა შორის, აზიასა და სხვა, არაქრისტიანულ ცივილიზაციაში, სანტა კლაუსმა საკმაოდ სერიოზულად მოიკიდა ფეხი. აქედან გამომდინარე, ნურავის გაუკვირდება, რომ ესა თუ ის კომპანია, წინასაახალწლო რეკლამაში სანტა კლაუსს იყენებს. ეს ლეგენდარული პერსონაჟი დღეს მსოფლიო სიმბოლოდ ითვლება, რომელმაც საბჭოთა სიმბოლოს მოუგო. წინასაახალწლოდ, მხოლოდ საახალწლო თემატიკა ან სურვილების ასრულების ჯადოსნური ამბები ყველასთვის აქტუალური არ არის, რადგან ბევრ კომპანიას სეზონურობის პრობლემა აქვს. იმ კომპანიებს ვგულისხმობ, რომელთა პროდუქციასაც მხოლოდ ზაფხულში მოიხმარენ, მაგრამ გაყიდვების სტიმულირება მათთვის ზამთარშიც აუცილებელია. ამის კლასიკური მაგალითი კომპანია „ნატახტარის“ ზამთრის კლიპია, რომელიც ყოველ წელს ახალ კონცეფციას სთავაზობს მომხმარებელს. ამ ტიპის აქტივობით, სხვა კომპანიებიც გამოირჩევიან, რომლებსაც სწორედ სეზონურობის პრობლემა აქვთ“.**

არ ვიცი ვინ აკეთებს ამ კომპანიის სარეკლამო კლიპებს, მაგრამ ეს ვიდეორგოლები პოზიტიური და ხალისიანი ნამდვილად თავიდანვე იყო. „ნატახტარის“ ლიმონათის კლიპით დანყებული, სადაც ბავშვები ინოლა გურგულიას ცნობილ სიმღერას მღეროდნენ, დასასრულს კი, პატარა ბავშვის ხმა ისმოდა: „ნატახტარის“ ლიმონათი გინდა? კონცეფცია ყოველ წელს იცვლებოდა და რამდენიმე წლის წინ, ზამთარში, „ნატახტარის“ ლუდის რეკლამაში, თავისი არაჩვეულებრივი ლექსით ნიკო გომელაური გამოჩნდა: „ჩვენ ერთად ვართ, მთავარია, მერე რა, რომ ზამთარია“. კლიპში არც სანტა კლაუსია, არც ელფები და ირმები ჩანან და არც ჯადოსნურ ამბავს გვიამბობენ, მაგრამ გათვლამ, აშკარად გაამართლა: **„რეკლამის დატვირთვა გაყიდვების სტიმულირება და ხელშეწყობაც უნდა იყოს. აქედან გამომდინარე, ყველა ის რეკლამა კარგია, რომელსაც სწორედ ეს შედეგი მოყვება. მეტიც გეტყვი, კარგი შეიძლება იყოს ისეთი მარტივი რეკლამაც კი, როგორიც „დანიურ სახლს“ აქვს. მაგალითად, „ლეიბი — 400 ლარად“... როცა მომხმარებელს პირდაპირ მისდის კონკრეტული, გაყიდვაზე ორიენტირებული მესიჯი. სარეკლამო კამპანია კომპლექსურად მოქმედებს მომხმარებელზე. ის მარკეტერები, რომლებსაც მაგალითად, „ორანჯ სანტა“ ჰყავთ, მეტად ჩანან და გაცილებით მოგებულები არიან ამ პერიოდში. ხალხი ყოველ წელს ელის, ამჯერად როგორი იქნება „საქართველოს ბანკის“ „ორანჯ სანტა“, ან რა მუსიკაზე იცეკვებს. არ ვიცი, სწორია თუ არა, მაგრამ სადაზღვევო კომპანია „ჯიპიაი ჰოლდინგის“ ძაღლმა — რექსმა, რომელიც საახალწლო კლიპებშიც გამოჩნდა, კონკრეტულ პროდუქტს, ავტოდაზღვევას ცნობადობა მოუტანა. სხვადასხვა კვლევების შედეგად, ავტოდაზღვევა ავტომატურად ასოცირდება რექსთან და „ჯიპიაი ჰოლდინგთან“, რაც ნიშნავს, რომ ამ კამპანიამ გაამართლა“.**

საინტერესოა, რომელი ქართული კომპანია აიტაცებს „ჯეპრას“ მთავარი კონსულტანტის იდეას და რა ფორმით შემოგვთავაზებს თოვლის ბაბუის თანამედროვე ინტერპრეტაციას? ვაღიარებ, საინტერესო იდეაა და მოუთმენლად დაველოდები მომავალი წლის ბოლოს.

ვერსიანიუსი

2015 წლიდან პოლიეთილენის პარკებს ბიოდეგრადირებადი პარკები ჩაანაცვლებს

გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის მოადგილე თეიმურაზ მურღულია ბიზნეს სექტორის წარმომადგენლებს შეხვდა. მინისტრის მოადგილემ საცალო ვაჭრობის სექტორის წარმომადგენლებს ახალი, „ნარჩენების მართვის კოდექსი“ გააცნო, რომელიც მომავალი წლის იანვრიდან შევა ძალაში.

შეხვედრა მიზნად ისახავდა კერძო სექტორის ჩართულობას ნარჩენების მართვის მიზნით განსახორციელებელ ღონისძიებებში. მხარეებმა პოლიეთილენის პარკებით გარემოს დაბინძურების პრობლემაზე ისაუბრეს და შეთანხმდნენ, რომ 2015 წლიდან პოლიეთილენის პარკების ბიოდეგრადირებადი პარკებით ჩანაცვლება ეტაპობრივად მოხდება. მხარეებმა მომავალი თანამშრომლობის პერსპექტივებიც განიხილეს, რომლებიც გარემოზე ზრუნვაში კერძო სექტორის ჩართულობას ითვალისწინებს.

„პირველი“

მაია ნიკოლეიშვილი ყავით მოწამლეს?

ივანო პავლიაშვილი

...ორივე გადარეული ვართ. გადარეულები რომ არ ვიყოთ, აბა, წინასაახალწლოდ, ნაძვისხის გვერდით, აბრეშუმის ჭიის სასარგებლო თვისებებზე ხომ არ ვიუბნებდით?! ახლა არ ჩათვალოთ, რომ მაია ნიკოლეიშვილმა პროფესია შეიცვალა და ხელი მეაბრეშუმეობას მიჰყო. ისე, რომ იცოდეთ, დამოუკიდებელი ექსპერტი სერტიფიცირებული გეშტალტ კონსულტანტია, რაც ნიშნავს, რომ ევროპის აკრედიტებულ ფსიქოთერაპევტთა ნუსხაშია... მოკლედ, რაღა ბევრი გავაგრძელო და, თქვენს წინაშეა არა-ჩვეულებრივი ინტერვიუ მაია ნიკოლეიშვილთან.

— მაია, ვიდრე სიტყვას აბრეშუმზე ჩამოაგდებდი, მითხარი, ჩვენ, ადამიანები ბიორობოტები ვართო. პრინციპში, გეთანხმები, მაგრამ ბიორობოტები რატომ ვართ?

— მამაჩემი სოფლის მეურნეობის მართვა-ორგანიზების ეკონომისტია და სადოქტორო, ასე ვთქვათ, აბრეშუმის ეკონომიკაზე დაიცვა. ასე რომ, აბრეშუმი ბავშვობიდან მესმის. სხვათა შორის, მუსლიმანურ ქვეყნებში თუთა წმინდა ხედ ითვლება. გარდა იმისა, რომ აბრეშუმის ჭიისთვის აუცილებელია, თუთას საოცარი სამკურნალო თვისებები აქვს. მამაჩემის კვლევით კი, თუთის გამომშრალი ფოთოლი მხოლოდ გამოსაკვებადაც უნიკალურია, თან თივაზე იაფი ჯდება. ამასაც თავი რომ გავანებოთ, აბრეშუმის ჭიას განვითარების საოცარი ციკლი აქვს — ჩვეულებრივი პეპელა იკვებება, კვერცხებს დებს, საიდანაც აბრეშუმხვევია იჩეკება, რომელიც პარკში შედის, ანუ თავს იკლავს და ასე შემდეგ... აბრეშუმის ჭია ველურია...

— ეჰ, ჩვენ რომ ველურობა გაგვიკვირდება — ვერ ხედავ, პარლამენტში ხალხის რჩეულები ერთმანეთს თავში სულ მიკროფონებს ურტყამენ?!

— ეს უკულტურობაა!..

საერთოდ, ადამიანები გარკვეულ კანონებს ვემორჩილებით და ეს მოგვწონს, რადგან კანონი რაღაცნაირად გვიცავს... ვანო, გაგიკვირდება, მაგრამ ძალიან კანონმორჩილი ვარ, თუმცა ზოგიერთ კანონს ვერ ვიტან და მის გამოსასწორებლად ვიბრძვი...

— მაინც, რომელ კანონს ვერ იტან?

— აი, მაგალითად, კანონს ექსპერტიზის ლიცენზირების შესახებ... მართალია, ლიცენზია ავიღე, მაგრამ ის მოთხოვნები, რომლებსაც სასამართლო-სამედიცინო ექსპერტს უყენებენ, იდიოტურია! გასაგებია, სახელმწიფოს გარკვეული საკითხების რეგულირების ვალდებულება აქვს, მაგრამ ვინც ამ სიაში სამედიცინო ექსპერტიზა შეიტანა, დაინტერესებული იყო...

— ფინანსური ინტერესი ამოძრავებდა?

— არა... 2005 წელს, როცა ამ რეგულაციების ნუსხაში ექსპერტიზა შეიტანეს, ერთადერთი დამოუკიდებელი ექსპერტი ვიყავი და, პრაქტიკულად, მუშაობა შემეზღუდა.

— ლიცენზია მაშინ რატომ არ აიღე?

— ლიცენზია რომ ამეღო, სასექციო აღჭურვილობა და ლაბორატორია უნდა მქონოდა, რომელიც არაფერში მჭირდება... ყველაფერი ეს, მინიმუმ, მილიონამდე ჯდებოდა... მილიონი რომ მქონოდა, სასექციოს კი არა, სასტუმროს გავხსნიდი და ნორმალურად ვიცხოვრებდი...

— ისე, გვამზე სახლში თუ გიმუშავია?

— არასოდეს...

...მაია მიბოდიშებს და სამზარეულოში გარბის — გაზქურაზე შემოდგმულ კერძს უნდა დახედოს. უკან ყავის ფინჯნით ბრუნდება... ვინტერესდები, რას ამზადებ-მეთქი. ამომწურავად მპასუხობს, ნათესავებმა „ბურვაკი“ გამომიგზავნეს, გავყავი, ნაწილი საახალწლოდ შევინახე, ნაწილს კი ვწვავო.

— მაია, ოჯახის წევრები და ახლობლები შენს მომზადებულ კერძებს ჭამენ?

— რატომ არ უნდა ჭამონ?

— რა ვიცი, მაინც სასექციოში მუშაობ...

— მაგალითად, 2014 წელს სასექციოში ერთხელ, აგვისტოში ვიყავი..

— ჰო, მაგრამ გვამთან გაქვს საქმე და... ცოტა უსიამოვნოა...

— ჯერ ერთი, ხელთათმანით ვმუშაობ. მეორეც, ჩემი საქმე შინ არ მომაქვს...

— მახსოვს, ერთხელ ფოტოები მანახე — სასექციოში ჭამის დროს გქონდა გადაღებული...

— ეჰ, ჩემო კარგო, თბილისისა და აფხაზეთის ომის დროს საშინელი პირობები გვქონდა... მაგალითად, მორიგეობისას ჩვეულებრივ მაგიდაზე მეძინა ხოლმე. მერე, მეგობარმა ექთანმა „არამიანციდან“ ორი „ადიალა“ მომიტანა — ერთი მაგიდაზე დავაფინე, მეორე დავიფარე და უბედნიერესი ვიყავი...

წარმოიდგინე, დანგრეულ კორპუსში ვარ, მთელი თბილისი ჩაბნელებულია და გვერდით სასექციოა...

— არ გეშინოდა?

— ერთ ღამეს კაკუნი შემომესმა... ხელ-ფეხი გამიჩერდა... წამოვხტი და კართან მივვარდი, სანიტარი ხომ არ მაშაყირებს-მეთქი, მაგრამ კართან არავინ იდგა...

— ესე იგი, სული გამოგეცხადა?

— არ ვიცი... ამის შემდეგ ოთახში ღვთისმშობლის ხატი დავკიდე და მსგავსი აღარაფერი ყოფილა...

საერთოდ, ჩვენს პროფესიაში „შავი ხუმრობა“ მოსულა.

— შავი ხუმრობა რაღა ჯანდაბაა?

— 9 აპრილის შემდეგ, ლენინგრადში, სამხედრო-სამედიცინო კათედრის გამგემ მითხრა, თუ რა გაზი შეიძლება გამოეყენებინათ და „ჩერიომუხას“ „ბალონჩიკი“ მაჩუქა, რომელიც თბილისში წამოვიღე... ერთხელ, თავდაცვის საშუალებებზე ვლაპარაკობდით, გამახსენდა, შინ „ჩერიომუხა“ მქონდა და სამსახურში წავიღე. ჰოდა, გადავწყვიტეთ გვენახა, როგორ მოქმედებდა. ერთ-ერთ ოთახში შევასხით, სადაც ჩემი კოლეგა პაციენტს სინჯავდა. ცოტა ხნის შემდეგ კარი გავაღეთ და რას ვხედავთ: ორივე — ექსპერტი და პაციენტიც ტირის... აი, ესაა შავი იუმორი...

— შავი იუმორი კი არა, სიბოროტეა, რომელიც შეიძლება, ფატალურად დამთავრებულიყო — „ჩერემუხას“ პაციენტიც მოეკლა და ექსპერტიც!..

— გამორიცხულია — გაზის მოქმედება ვიცოდი.

— ...სიკვდილის გეშინია?

— ვანო, ხომ იცი, ახლა ფსიქოლოგიას ვსწავლობ და ვხვდები, თავის დროზე ამ პროფესიაში, შეიძლება, სწორედ იმიტომ მოვედი, რომ სიკვდილის მეშინოდა, თუმცა ექსპერტობა კი არა, ქირურგობა მინდოდა. ექსპერტობა და ქირურგობა, პრინციპში, ერთი პროფესიაა... ისეთ პროფესიებს, რომლებიც სიკვდილ-სიცოცხლის გასაყარს უახლოვდებიან, ფსიქოლოგების აზრით, უმეტესად ისინი ირჩევენ, რომელთაც რაღაც შიში თუ სტრესი აქვთ და, როცა ამ პრობლემასთან ახლოს მიდიან, ეს შიში „ეხსნებათ“... სიკვდილზე ბევრი მიფიქრია... მოთხრობებსაც ვწერდი...

— სიკვდილთან პირისპირ დარჩენილხარ?

— კი...

— როდის?

— არცთუ დიდი ხნის წინ... ყავასაც ამიტომ ვერიდები...

— მაია, უნდა ჩაგეკითხო...

— კი ბატონო, ოღონდ დეტალები არ მომაყოლო...

— გპირდები, მაგრამ ყავით მოწამვლა შენს პოლიტიკურ საქმიანობას უკავშირდებოდა, არა?

— თუ ეს ნამდვილად „ცუდი“ ყავა იყო, მაშინ პოლიტიკას უკავშირდებოდა, მაგრამ ამის დამტკიცება ძალიან რთულია...

— ფაქტია, ცუდი ყავა იყო, რადგან თავი უკეთ ბევრი მინერალური წყლის მიღების შემდეგ იგრძენი...

— კი, ასე იყო...

— მაია, მაქსიმალურად გულწრფელად მიპასუხე...

— ვეცდები...

— მეუბნები, კანონმორჩილი ვარო. ჰოდა, გასაოცარია, ამ კანონმორჩილმა ადამიანმა კავშირი ტერორიზმში მხილებულ იგორ გიორგაძესთან რატომ დაიჭირე?

— კანონი არ დამირღვევია!

— გიორგაძეს, მაშინაც და ახლაც, ინტერპოლი ეძებს და მის გვერდით დადგომა კანონდარღვევა არაა?

— ყველაფერი ლიცენზირების საკითხით დაიწყო... ვანო, შექსპირის სიტყვები გახსოვს, რასაც ვაკეთებ, ლაზათიანად ვაკეთებო? ჰოდა, ყველაფერს მეც გულით ვაკეთებ, მაგრამ... 2005 წელს უკვე ორმოცს გადაცილებული ვიყავი, მანამდე მთელი ცხოვრება ჩემს საქმეს ვსწავლობდი და, დამოუკიდებელი ექსპერტიზისთვის ბრძოლა რომ დავიწყე, სულ მარტო ვიყავი — ადამიანიც არ არსებობდა, რომელსაც ჩემს მოსაზრებებს გავუზიარებდი. ბოლოს, 1999 წელს, გია მეფარიშვილმა საპროცესო კანონმდებლობაში დამოუკიდებელი ექსპერტიზა „ჩადო“ და ეს პოსტსაბჭოთა სივრცეში აბსოლუტური გარღვევა იყო... ჰოდა, 2005 წელს, მიშას კანონით, ექსპერტიზის დაწესებულების ლიცენზირების გამო, ჩემს პროფესიას პრაქტიკულად „დამამშვიდობეს“. არადა, „ვარდების რევოლუციამდე“ იმისთვის ვიბრძოდით, ქვეყანა უკეთესობისკენ შეგვეცვალა... ვამბობდი ხოლმე, ღმერთო, ისე ნუ გამიჭირვებ, პოლიტიკაში წავიდე-მეთქი... 2005 წელს ისე გამიჭირდა, პოლიტიკაში შევედი, თუმცა ეს პირდაპირ გიორგაძესთან „შესვლა“ არ ყოფილა... სხვანაირად ვფიქრობდი, მაგრამ ცოტა მეტი მოხდა...

— მე კი ვიცი, რა და როგორც იყო, მაგრამ ისე ლაპარაკობ, საზოგადოება ვერაფერს გაიგებს, ამიტომ მოდი, ყველაფერი დალაგებულად მიამბე...

— გიორგაძესთან პარტნიორობას არ ვაპირებდი.

— აბა, გაიძულეს?

— არა... გიორგაძესთან ჩვეულებრივი ინტერვიუ გავაკეთე...

— მაია, ძებნილებთან „ჩვეულებრივ ინტერვიუს“ არ აკეთებენ...

— მაშინ „წინ, საქართველოში“ ვიყავი. საქართველო-რუსეთის ურთიერთობები მაინტერესებდა...

— მოიცა, მოიცა...

— რა, არ გჯერა?

— მჯერა, მაგრამ...

— დეტალებზე ლაპარაკი არ მინდა... უბრალოდ, გეტყვი, რომ რუსეთში მყოფი ის ქართველები მაინტერესებდა, რომლებიც, შესაძლოა, ქართულ პოლიტიკაში მოსულიყვნენ... სხვათა შორის, თავდაპირველად, შეხვედრა გიორგაძესთან კი არა, ვასაძესთან მინდოდა... ჩემთვის გიორგაძე ერთ-ერთი ფიგურა იყო, რომელზეც რუსეთი ფსონს დებდა... სიმართლე გითხრა, მასთან შეხვედრა, ასე ვთქვათ, არ მიძებნია.

— აბა, თვითონ დაგიკავშირდა?

— გეგეშიძის ბაღში ერთ ადამიანს შევხვდი, რომელიც პოლიტიკურ წრეებში დღესაც არაა და მან მითხრა, გიორგაძემ შეხვედრა შემომთავაზა და რას იტყვი, იქნებ, შენც წამოხვიდეო. ახლა ვხვდები, რომ ყველაფერი ეს გათვლილი იყო, რადგან საბოლოოდ, გიორგაძეს მარტო შევხვდი.

— ამ კაცის გვარს ხომ მეტყვი?

— არა, თუმცა გეტყვი, რომ მის მიმართ არანაირი პატივისცემა და ხათრი აღარ მაქვს...

— შემოთავაზებაზე დათანხმდი?

— მოსკოვში პირად საქმეზე წასვლას მაინც ვაპირებდი და ვიფიქრე, რატომაც არა-მეთქი... ჩავთვალე, რომ შევხვდებოდი და ყველაფერი ამით დამთავრდებოდა, თან ცნობისმოყვარეობამაც მძლია, ამ კაცისგან ასეთ „ბუას“ რომ ქმნიან, ნეტავ, სინამდვილეში როგორია-მეთქი...

— გიორგაძეს სად შეხვდი?

— მოსკოვის ერთ-ერთ რესტორანში...

— რესტორნის სახელი არ გახსოვს?

— რა თქმა უნდა, მახსოვს...

— დარბაზში ისხედით?

— არა...

— ქართულად ლაპარაკობდით?

— რუსულად, თუმცა ქართულსაც ვურევდით...

— რატომ არ მოსთხოვე, ქართულად გესაუბრათ?

— რუსოფობი არ ვარ...

მოკლედ, რაღაც ინტრიგასა თუ ავანტიურაზე წავედი.

— ამას რატომ ამბობ?

— წარმოიდგინე: ხვდები გალანტურ, კარგად მოსაუბრე, განათლებულ და სიღრმეების მცოდნე ადამიანს... მანამდე ტერორისტი შახიდის ქამრით მყავდა წარმოდგენილი და უცებ, სრულიად განსხვავებული ადამიანი ვნახე, რაც ჩემთვის შოკისმომგვრელი იყო.

— მაშასადამე, „დავერბოვკების“ პირველმა ეტაპმა წარმატებით ჩაიარა — გიორგაძემ თავისი, როგორც ამბობ, გალანტურობით მოგხიბლა, არა?

— საერთოდ, კულტურული და კარგი მანერების განათლებულ ადამიანებთან ურთიერთობა ჩემთვის ყოველთვის საინტერესოა.

— ანუ რუსულ სპეცსამსახურს შენი სუსტი მხარე შესწავლილი ჰქონდა...

— ალბათ...

— თუკი კულტურული ადამიანები გიყვარს, ჩემთან როგორ მეგობრობ? — ახლა, არ დამიწყო, გალანტური ხარო...

— ვანო, ძალიანაც კულტურული ხარ: პატივს გცემ და მიყვარხარ, მაგრამ თავს უფლებას არასოდეს აძლევ, ზღვარს გადახვიდე... სიტყვის შენახვაც იცი...

— ესე იგი, ადამიანების „დავერბოვკება“ მეც გამომივა?!

— ვანო, შენ შემოგევლე... კარგი, რა?!

— სხვათა შორის, ამას წინათ უშიშროების ერთმა გენერალმა მითხრა, მთელი ჩემი ცოდნა და გამოცდილება გამოვიყენე, მაგრამ დავრწმუნდი, ძნელად „დასავერბოვკებელი“ კაცი ხარო...

— ვანო, შენი წერის სტილი მომწონს — იცი, უხერხული კითხვა როდის დასვა, თან ისეთი უცნაური გამოხედვა გაქვს, ადამიანს აიძულებ, სიმართლე გითხრას... ყველაფერი ეს სპეცსამსახურის სკოლებში არ ისწავლება... პროფესიონალებს პატივს ვცემ, მაგრამ სპეცსამსახურებს ვერ ვიტან! „კაგებეშიკებს“ არ ეწყინოთ, მაგრამ გიორგაძესთან პოლიტიკურ ალიანსში რომ ვიყავი, დაცვა დამინიშნა — ეტყობოდა, ყოფილი სამხედრო იყო...

— დაცვა რად გინდოდა?

— არ ვიცი... თვითონ მითხრეს, გჭირდებაო...

— ანუ გაკონტროლებდა?

— მეც ასე მივიღე, მაგრამ ვიტანდი... ეს დაცვა ძალიან კარგი კაცი იყო. სხვათა შორის, ქართული არ იცოდა — სომეხი იყო.

— თბილისელი სომეხი?

— არა... მისი არც მისამართი ვიცი და არც — არაფერი...

— ეს კაცი ყველგან დაგყვებოდა?

— კი... შინ რომ მიმაცილებდა, ჩემს ცხონებულ მძღოლს ვურეკავდი და ვეუბნებოდი ხოლმე, ვასიკო, გეხვეწები, რა, გამომიარე და „ვიკატაოთ“-მეთქი... იცი, რა მაგარია თავისუფლება?!

— სიყმაწვილიდან გიცნობ და შენი თავისუფლების ხარისხიც ვიცი... გიორგაძეს თავს რატომ არ ანებებდი თუ ამ მოჯადოებული წრიდან ვეღარ გამოდიოდი?

— ვერ გამოვდიოდი...

— მასზე ფინანსურად იყავი „მიბმული“?

— არა...

— რამდენს გიხდიდა?

— ხელფასი მქონდა... ვერ გეტყვი, რომ ეს თანხა მაშინ ჩემთვის ცოტა იყო, მაგრამ ვერც იმას ვიტყვი, ეს იმხელა ხელფასი იყო, რომლის გამოც თუნდაც დაცვას ვიტანდი-მეთქი... საერთოდ, მანამდე გუნდური თამაში არასოდეს მეთამაშა, ეს პირველი მცდელობა იყო და შევეცადე, წესები მიმეღო... მოკლედ, დაცვაზე გიყვებოდი...

— ვიდრე დაცვაზე მიამბობ, უნდა დაგაკონკრეტებინო: გრძობდი, რომ მოჯადოებულ წრეში იყავი?

— კი, რაღაცები უკვე აღარ მომწონდა...

— აბა, თუ აღარ მოგწონდა და არც „ფინანსური ბმა“ გქონდა, თავს რატომღა ვერ აღწევდი?

— ვანო, გაგეცინება, ახლა ჩემს თავზე მეც მეცინება, მაგრამ დავიჯერე, რომ გიორგაძეს საქართველოსთვის კარგი უნდოდა და რა ვქნა?

— გიორგაძე შენი მტერია?

— ამ ადამიანზე ლაპარაკი საერთოდ არ მინდა...

— გაგწირა?

— ვეჭვობ... არ მინდა, ჩემს თავს გამოვუტყდე, რომ იდიოტობა გავაკეთე, თუმცა ყველაფერი ჩემი ბრალია...

— ამბობენ, რომ უშიშროების საცეცებიდან მთლიანად გათავისუფლება შეუძლებელია. გასაგებია, რომ შენი „ოპერაცია“ ჩავარდა, მაგრამ შენი აზრით, თავი საერთოდ დაგანებეს თუ ოპერატიულად ისევ საინტერესო ხარ?

— არა...

ურთიერთობა ამერიკელებთანაც მქონდა — აშშ-ში, ლაბორატორიასთან დაკავშირებით, ოთხჯერ ვიყავი...

— აშშ-ში, როგორც მახსოვს, მიშამ გაგიშვა...

— კი... აშშ-ში გამართულ შეხვედრებში სპეცსამსახურის თანამშრომლებიც მონაწილეობდნენ, მაგრამ მათთან რამე ხელმოწერილი ურთიერთობა არ მქონია.

— რუსებთან ხელმოწერილი ურთიერთობა გქონდა?

— არა...

— აბა, ხელფასს როგორ გაძლევდნენ?

— ფონდ „ანტისოროსის“ დირექტორი ვიყავი...

— ამ ფონდის შექმნა გიორგაძის იდეა იყო?

— დიახ. ჩემი იდეა რომ ყოფლიყო, სახელს „ანტი“-თ არ დავიწყებდი...

— რუსები შენით იქნებ, იმიტომ დაინტერესდნენ, რომ ურთიერთობა ამერიკელებთანაც გქონდა?

— თავდაპირველად „კავკასიის დემოკრატიის ინსტიტუტის“ წარმომადგენლობა შემომთავაზეს, რაზეც დავთანხმდი.

— ესეც რუსული ფონდია?

— დიახ.

— ვინ შემოგთავაზა?

— ერთ-ერთი ოფიციალური სტრუქტურის წარმომადგენელმა, რომელმაც მითხრა, რომ ეს ინსტიტუტი კონკურსებს ჩაატარებდა და კომუნიკაცია ძირითადად საქართველოს რუსულენოვან მოსახლეობასთან ექნებოდა.

— ამ შემოთავაზებაზე რატომ დათანხმდი?

— ხომ გითხარი, ქართულ-რუსული ურთიერთობები მაინტერესებდა, თან ვხედავდი, რომ მიშა რუსეთთან ყველა გზას ჭრიდა, არადა, ნაციონალებს რუსებთან ურთიერთობა ჰქონდათ ანუ ხიდებს ხალხისთვის წვავდნენ...

სხვათა შორის, აშშ-ში ერთმა თარჯიმანმა გოგომ, რომელიც პეტერბურგიდან იყო და ამერიკელი ქმარი ჰყავდა, მითხრა, ათი წელია, ამათი რძალი ვარ, მაგრამ დედამთილი მაინც რუსის „შპიონს“ მეძახისო ანუ აშშ-ში ყველაფერ რუსულის მიმართ პანიკური შიში დავინახე...

აშშ-ში ერთ ჩემს კოლეგაზე მითხრეს, საბჭოთა კავშირიდან ჩამოსული ებრაელიაო... ეს კაცი პეტერბურგის ექიმთა დახელოვნების ინსტიტუტის სასამართლო მედიცინის კათედრის

ერთ-ერთი კორიფის შვილი აღმოჩნდა. გავოცდი და არყის ხეების ტევრის სურათი ვაჩვენე, თან ვუთხარი, ჩვენი ინსტიტუტის წინაა გადაღებული-მეთქი, მაგრამ რეაქცია არ ჰქონია. უცებ ვკითხე, არ გენატრება-მეთქი? არაო... დავემშვიდობე... ეზოში მანქანა წამომეწია, გაჩერდა და ამ კაცმა რუსულად დამიძახა, დაბრძანდით, წაგიყვანთო და მაშინ მივხვდი, რომ მონატრების კი არა, სამსახურში რუსულად ლაპარაკის უფლებაც არ ჰქონდა... მანქანაშიც არ უთქვამს, მენატრებაო, მაგრამ მის თითოეულ სიტყვაში ყველაფერ იმის, რაზეც ვლაპარაკობდით, საოცარი სიყვარული იგრძნობოდა...

— მაია, ცუდი რამ უნდა გკითხო, ოღონდ არ გაბრაზდე, ოკ?

— თუ გავბრაზდები, დაინახავ — ხომ იცი, ემოციებს არ ვმალავ.

— რუსეთუმე ხარ?

— არ მესმის, რუსეთუმე რას ნიშავს?

— რუსეთუმე ის ქართველია, რომელიც საქართველოში რუსეთის პოლიტიკური ინტერესების გატარებას ცდილობს!

— დღეს პოლიტიკაზე საერთოდ არ ვფიქრობ და არც მაინტერესებს, მაგრამ ერთი ვიცი: პეტერბურგს ვერასოდეს შევიძულებ და ვინც შეეცდება, პეტერბურგი შემაძულოს, ვეტყვი, იდიოტი ხარ-მეთქი. როგორ უნდა შევიძულო?!

— პუტინი ხომ გძულს?

— მის მიმართ არანაირი განწყობა არ მაქვს!

აფხაზეთი და ე.წ. სამხრეთ ოსეთი, რა თქმა უნდა, ჩემი უზარმაზარი ტკივილია!

— ამ ტკივილის მომტანი კი პუტინი, ესე იგი, რუსეთია!

— ვანო, ახლა, პირველ კლასში ხომ არ ვართ, რომ ერთმანეთი რამეში დავარწმუოთ?.. ამ თემაზე ლაპარაკი არ მინდა... სხვათა შორის, პოლიტიკაში ყოფნამ მომცა საშუალება, რომ აფხაზ ძმებს შევხვედროდი, ტეტ-ა-ტეტ გვესაუბრა და მათი სრულიად განსხვავებული პოზიცია მომესმინა, თუმცა შეხვედრის შემდეგ გამართულ ბანკეტზე არ წავედი.

— რატომ?

— აფხაზეთი ჩემი საოცარი ტკივილია და ვიცი, საუბრის დაწყება აუცილებელია, მაგრამ იმდენი ძალა არ მქონდა, მათთან ერთად სუფრასთან დავმჯდარიყავი...

ვანო, მათქმევინე, რა, დაცვამ რა მითხრა...

— თქვი, რას მეხვეწები...

— ეს კაცი კარგი სამხედრო იყო. მართალია, რამდენიმე თვე ერთად ვმოძრაობდით, მაგრამ მისი გაცნობა ვერ მოვასწარი, თუმცა მისდამი პატივისცემა მაქვს. მოკლედ, ამ კაცმა ერთხელ მითხრა, შეფ, იცით, რომ „კაგებეშნიკები“ ინფრაქტით არ კვდებიანო? გამიკვირდა, რატომ-მეთქი. იმიტომ, რომ გული არ აქვთო... ვანო, წელან მკითხე, ინტერესი ისევ ხომ არ არისო — არანაირი. ერთხანობას, მიშას დროს, ვიფიქრე, საქართველოდან ხომ არ წავიდე-მეთქი, მაგრამ მადლობა უფალს, რომ არ წავედი! ამაში კი, დიდი დახმარება მიშა ცაგარელმა გამიწია — იმ დროს აბსოლუტურად წარსულდაკარგული ადამიანი ვიყავი, მიშას მივმართე, მისი ჩაწერილი რჩევები მოვისმინე და მივხვდი, არ უნდა წავსულიყავი, თორემ არავინ იცის, კიდევ რაში გავეხვეოდი...

— ასეა თუ ისე, ფაქტია: შენგან ქართველი ნიკიტა არ დადგა!

— ღმერთმა დამიფაროს!

— ალბათ, მოვა დრო, როცა ძალიან ბევრ საინტერესოს დაწერ ან მოყვები...

— არიან ადამიანები, რომელთაც ოდესმე აუცილებლად უნდა თქვან, რაც მოხდა, მაგრამ ჩემი ყველა გამონათქვამი აბსოლუტურად მოზომილია და იმის ტარება, რასაც არ ვამბობ, შემიძლია...

— ახალი წელი მოდის... 31 დეკემბერს, წამიერად, ალბათ, საკუთარ თავთან მარტო დარჩები... შენი წარსულიდან რამის ამოჭრა გინდა?

— ჩემი წარსული ჩემი წარსულია... ბევრ საკითხში იგივე გზას გავივლიდი, მაგრამ მოსკოვში, გიორგაძესთან შესახვედრად, რა თქმა უნდა, არ წავიდოდი. არც „წინ, საქართველოში“ შევიდოდი, ანუ პოლიტიკას იმ სახით არ გავეკარებოდი.

— აღარც მიშასთან მიხვიდოდი?

— მიშასთან არც მივსულვარ... ჩემს საქმეს ვაკეთებდი... ჩემს ცხოვრებაში ყველაზე რთული 2006-2011 წლები იყო... რომ შემეძლოს, ამ წლებს ამოვიღებდი...

— ბედნიერი ხარ?

— (იღიმის) კი, ბედნიერი ვარ... ძალიან ბანალური იქნება, რომ ვთქვა, იმის გამო, რაც ბიძინა ივანიშვილმა გააკეთა, ბენდიერი ვარ-მეთქი, მაგრამ არავის „ვეპადხალიმები“... არავისი არაფერი მინდა, უბრალოდ, ჩემი საქმის კეთება მაცადონ... ყველაფერს თავისი სახელი უნდა დავარქვათ და მადლიერების გამოხატვისაც არ უნდა გვეშინოდეს — დიახ, 2012 წლის პირველი ოქტომბრის შემოქმედის მადლიერი მთელი ცხოვრება ვიქნები... აი, თვალებში გიყურებ და გეუბნები: მიუხედავად იმისა, რაც გადავიტანე, ჰო, ბედნიერი ვარ!

— ცუდი რაღაცები რომ გკითხე, გაბრაზდი?

— არა. ფსიქოლოგიამ იმის ფუფუნება მომცა, წყენა გულში არ ჩავიდო და თუ რამე მეწყინება, ადამიანებს პირდაპირ ვუთხრა.

— მართალია, დიდი ხანია, ბავშვი აღარ ხარ, მაგრამ თოვლის პაპას რას სთხოვ?

— კარგ ქვეყანაში ცხოვრება მინდა!

— არ ნანობ, საქართველოში რომ დაიბადე?

— არა. ჩემი ბედისწერაა, რომ საქართველოში დავიბადე და მინდა, ერთ დღეს ვთქვა, რა კარგი ქვეყანაა, ეს დალოცვილი-მეთქი. თოვლის ბაბუას ვთხოვდი, კარგი სახელმწიფოებრივი ინსტიტუტები გვქონოდეს ამ წელში ... სამართლიანობა მინდა, რომ დღესაც კი ერთი პატარა „გოგოშკა“ ან გულგაყინული მოსამართლის გადაწყვეტილებამ სიცოცხლე უამრავ ოჯახს და განსაკუთრებით ამ ოჯახის ბავშვებს, ახალგაზრდებს აღარ გაუმწაროს ...

— მაია, ახალ წელს გილოცავ!

ვერსიანიუსი

შს მინისტრის ინიციატივით დაწყებულ საქველმოქმედო აქციაში ქვემო ქართლის სამმართველო ჩაერთო

შინაგან საქმეთა სამინისტრო აგრძელებს მინისტრ ალექსანდრე ჭიკაიძის ინიციატივით დაწყებულ საქველმოქმედო აქციას საქართველოს რეგიონებში მცხოვრები, სიღარიბის ზღვარს მიღმა მყოფი ოჯახების დასახმარებლად.

აქციის ფარგლებში, შსს-ს ქვემო ქართლის სამხარეო მთავარი სამმართველოს თანამშრომლები წალკაში, თეთრწყაროსა და დმანისში 30-მდე ოჯახს ესტუმრნენ. მათ დამდეგი ახალი წელი მიულოცეს და საჩუქრად სურსათი და პირადი მოხმარების ჰიგიენური საშუალებები გადასცეს.

საქველმოქმედო აქცია, რომლის მიზანია ზამთრის პერიოდში, სიღარიბის ზღვარსმიღმა მყოფი ოჯახების მძიმე სოციალურ-ეკონომიკური პირობების გაუმჯობესება, მომავალშიც გაგრძელდება.

„ვერსიანიუსი“

შსს-მ ბათუმში პოლიციელის განზრახ მკვლელობის ფაქტზე ერთი პირი დააკავა

1983 წელს დაბადებული რამაზ დ. ბათუმის საქალაქო სამმართველოს მეშვიდე განყოფილების უმცროს-ინსპექტორის განზრახ მკვლელობის ბრალდებით, სარფის საბაჟო გამშვებ პუნქტში დააკავეს. გამოძიებით დადგინდა, რომ 27 დეკემბერს, ღამის საათებში, ბათუმში, ერთ-ერთ კლუბში, ბრალდებულმა ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენებით თავის არეში სასიკვდილო ჭრილობა მიაყენა შსს-ს აჭარის მთავარი სამმართველოს ბათუმის საქალაქო სამმართველოს მეშვიდე განყოფილების უმცროს ინსპექტორს, 1992 წელს დაბადებულ თარაშ მ-ს, რომელიც არ ასრულებდა სამსახურებრივ მოვალეობას. თარაშ მ. მიყენებული ჭრილობის შედეგად ადგილზე გარდაიცვალა, ხოლო რამაზ დ. შემთხვევის ადგილიდან მიიმალა. სამართალდამცველებმა ცხელ კვალზე ჩატარებული სამძებრო და საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად ბრალდებული საქართველოს სახელმწიფო საზღვრის გადაკვეთისას დააკავეს. სამართალდამცველებმა მკვლელობის იარაღი და მასრები ნივთმტკიცების სახით შემთხვევის ადგილიდან ამოიღეს. გამოძიება განზრახ მკვლელობის ფაქტზე საქართველოს სსკ-ს 108-ე მუხლით მიმდინარეობს.

„ვერსიანიუსი“

ფალსიფიცირებული წამლების ბუმი მსოფლიოში

რამდენად დაცულია საქართველო „პატენტი“ მედიკამენტებისგან და ვის უნდა მიმართოს დაზარალებულმა მომხმარებელმა

თამარ ლომსაძე
568-34-44-94

წამლების ფალსიფიკაცია კიდევ ერთი თავისტკივილია მსოფლიოსთვის, რადგან ეს საქმიანობა დღითიდღე მასშტაბური ხდება და სტატისტიკურად, რუსეთში მხოლოდ იარაღსა და ნარკოტიკებს უთმობს ადგილს. მაშინ, როცა მსოფლიო დღითიდღე ამკაცრებს კანონებს ფალსიფიკატორთა წინააღმდეგ, საქართველოში მსგავსი საქმიანობა 20 000 ლარით ჯარიმდება, რუსეთში კი 100-დან 500 ათას რუბლამდე ჯარიმა და გამოსასწორებელი სამუშაოებია გათვალისწინებული... ასეთი ლიბერალიზმი, როცა საქმე ადამიანების ჯანმრთელობასა და სიცოცხლეს ეხება, რბილად რომ ვთქვათ, უხერხულია! არადა, ჩინეთში წამლის ფალსიფიკაცია სიკვდილით ისჯება, თუმცა არავინ იფიქროს, ასეთი რადიკალური ზომების მომხრე იყოს ვინმე, უბრალოდ, საქართველოსნაირ განვითარებად ქვეყნებს მეტი სიფრთხილე მართებს, რადგან სწორედ ასეთი ქვეყნების დაუცველობით სარგებლობენ ფალსიფიკატორები და ფარმაგიგანტებიც.

მაგალითად, პრეპარატ „მილდრონატის“ მიღების შედეგად, რუსეთში 20 საგანგაშო შემთხვევა დაფიქსირდა, რომელთა შორის, ორი ლეტალობით, ხოლო დანარჩენი პაციენტების დაინვალიდებით დასრულდა. ძიების შემდეგ „მილდრონატის“ ეტიკეტის ქვეშ აღმოაჩინეს „ლისტენონი“ — უძლიერესი ანალგეტიკი, რომელიც სუნთქვის პარალიზებას ახდენს. მწარმოებელმა განაცხადა, რომ წამალი შეცდომით აერიათ, თუმცა კომპანია „სოტეკსს“ ბოდიშიც არ მოუხდია მაშინ, როცა ამერიკულ ფარმაგიგანტს GlaxoSmithKline-ს მსგავსი შეცდომა (თუმცა არავინ დაღუპულა) სამუდამოდ ლიცენზიის ჩამორთმევად და სამ მილიარდიან ჯარიმად დაუჯდა, ხოლო შარშან ჩინეთში ქსიანგის პროვინციაში მალარიის წამლის ფალსიფიკაციისთვის ორი ადამიანი დახვრიტეს. სტატისტიკურად, რუსეთში ფალსიფიცირებული წამლების გასაღების ბაზარი მხოლოდ იარაღსა და ნარკოტიკს უთმობს ლიდერობას, ორიოდე წლის წინ კი ოპერატიული სამსახურის თანამშრომლებმა მიაგნეს სარდაფს, სადაც სააფთიაქო საშუალებების სრული ასორტიმენტი იყო — სულ 23 ტონა, მათ შორის ანტიბიოტიკები და კიბოს საწინააღმდეგო პრეპარატები. არსებული მონაცემები სიმშვიდის საფუძველს არ გვაძლევს. რა მდგომარეობაა ამ მხრივ საქართველოში, რამდენად კონტროლდება შემოსული მედიკამენტები, რა მექანიზმი არსებობს ფალსიფიცირების ასარიდებლად და რა კანონები მოქმედებს ასეთ შემთხვევაში, ვერსიას სამედიცინო საქმიანობის რეგულირების სააგენტოს ფარმაცევტული საქმიანობის ინსპექციის სამმართველოს უფროსი, **დავით მაჭარაშვილი** ესაუბრება.

— რა თქმა უნდა, მკაცრად კონტროლდება საქართველოში იმპორტირებული და თუნდაც ადგილობრივი წარმოების ფარმაცევტული პროდუქტი... კონტროლი იწყება რეგისტრაციიდან და პოსტრეგისტრაციის პერიოდშიც მიმდინარეობს, როგორც ვიზუალურად, ისე ლაბორატორიულად. თუ სამართალდარღვევა გამოვლინდა, იმპორტიორი ან მწარმოებელი კომპანიის მიმართ ტარდება კანონით დადგენილი ღონისძიებები.

— ძირითადად, რა დარღვევები ვლინდება და რა სანქციები არსებობს, თუნდაც წამლის ფალსიფიკაციის შემთხვევაში?

— შეიძლება გამოვლინდეს საქართველოს ბაზარზე დაშვების უფლების არქონა, მარკირების დარღვევის ან ფალსიფიკაციის ფაქტები... რაც შეეხება სანქციებს — საქართველოს ბაზარზე დაშვების უფლების არქონის შემთხვევაში 6000-ლარიანი ჯარიმაა, ერთი წლის განმავლობაში განმეორებითი დანაშაულისთვის 12-ათასლარიანი; თუკი განსხვავებული მარკირებაა და სააგენტო არ არის ინფორმირებული, 2000-ლარიანი ჯარმაა გათვალისწინებული, სუბსტანდარტული ფარმაცევტული პროდუქტის მიმოქცევისთვის პირველ ჯერზე 6, ხოლო განმეორების შემთხვევაში 12 ათასლარიანი ჯარიმაა. რაც შეეხება ფალსიფიკაციას, წამლისა და ფარმაცევტული საქმიანობის შესახებ საქართველოს კანონით დადგენილია ჯარიმა 20 ათასი ლარის ოდენობით.

— ეს დიდი ფუფუნებაა ფალსიფიკატორებისთვის, არ მეთანხმებით?

— კანონი ცოტა ლიბერალურია, მაგრამ ვმუშაობთ გამკაცრებაზე.

— რამდენად ხშირია მსგავსი კანონდარღვევები ქართულ ფარმაცევტულ ბაზარზე?

— უფრო ხშირად ვხვდებით განსხვავებული მარკირებით იმპორტირებულ წამლებს, გვაქვს სუბსტანდარტული — წუნდებული ფარმაცევტული პროდუქციის მიმოქცევის ფაქტებიც, თუმცა ფალსიფიკაცია საკმაოდ იშვიათად ვლინდება და წელს მხოლოდ ერთი ასეთი შემთხვევა დაფიქსირდა.

— მოსახლეობა რამდენად დაცულია ასეთ დროს?

— ფალსიფიცირებული ფარმაცევტული პროდუქტის მიმოქცევა საქართველოში ნაკლებადაა და დამცავი მექანიზმებიც გათვალისწინებულია კანონმდებლობაში. ნებისმიერი კომპანია ვალდებულია, იმპორტის შემთხვევაში პროდუქტს ახლდეს ხარისხის დამადასტურებელი სერტიფიკატი და თუკი შერჩევის დროს რაიმე ხარვეზი გამოვლინდა წუნდებასა თუ ფალსიფიკაციასთან დაკავშირებით, ინფორმაციას მაშინვე ვაქვეყნებთ.

— თუმცა შესაძლოა, ფალსიფიცირებული მედიკამენტები აფთიაქში დახლქვემოდან გაიყიდოს...

— ეს სხვა მიმართულებაა... ბაზარზე არალეგალურად მოხვედრილ მედიკამენტებს საბაჟო დეპარტამენტი აკონტროლებს და შანსი, კონტრაბანდული გზით, არალეგალურად მოხვდეს სამკურნალო საშუალებები ბაზარზე, ძალიან დაბალია. სისტემატურად ვაკონტროლებთ და ფალსიფიკაციის შემთხვევები ხშირი არ არის.

— თუმცა ასეთი მაინც ხდება და რა უნდა მოიმოქმედოს დაზარალებულმა, რომელსაც ფალსიფიცირებული თუ უხარისხო წამლის მიღების შედეგად, ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პრობლემები შეექმნა?

— პირველ რიგში, მკურნალ ექიმთან უნდა გადამოწმდეს, არსებული პრობლემები ნამდვილად ამა თუ იმ წამლის მიღების შედეგად განვითარდა თუ არა. გარდა ამისა, ყველა სამედიცინო დაწესებულებასა თუ აფთიაქს აქვს რეკომენდაცია, გვერდითი ეფექტის გამოვლენის შემთხვევაში ჩვენს საგენტოს დაუკავშირდეს და შემდეგ ესა თუ ის მედიკამენტი მოწმდება ლაბორატორიულად.

სტუდქალაქელები გზის შეკეთებას ითხოვენ

მაკა ლომაძე
555-27-95-13

სტუდენტური ქალაქი ბაგებში 1975 წლიდან არსებობს, მაგრამ მასზე, იშვიათად საუბრობენ და ჟურნალისტებიც, იმ მაცხოვრებლებს იშვიათად სტუმრობენ. არც ისე დიდი ხნის წინ, საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი ინიციატივით გამოვიდა, თბილისში, ლისის ტბის მიმდებარე ტერიტორიაზე, სტუდენტური საერთო საცხოვრებელი აშენდება, მაღალი აკადემიური მოსწრების სტუდენტების ხელშესაწყობად და აღჭურვილი იქნება შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთათვის საჭირო ინფრასტრუქტურით. ირაკლი ღარიბაშვილის მიერ ინიცირებული პროექტი სამას სტუდენტს დააბინავებს და მთავრობის მეთაურის ეს იდეა ბევრსაც გაახარებს, თუმცა, მის განხორციელებამდე საკმაო დროა. საინტერესოა, მანამდე როგორ ცხოვრობენ სტუდენტები სტუდქალაქში, სადაც უკვე დიდი ხანია აფხაზეთიდან და ცხინვალიდან 2000-ზე მეტი იძულებით გადაადგილებულია ჩასახლებული.

როგორ ცხოვრობენ და რა პრობლემები აქვთ ორი კორპუსისამარა დარჩენილი სტუდენტური ქალაქის ბინადრებს

„რით დავიმსახურეთ თქვენი ყურადღება?“, — დაინტერესდა **ზაზა წაქაძე**, სტუდქალაქის მმართველი. როგორც გავარკვიე, ბატონი ზაზა, ამ თანამდებობაზე ყოფნისას პირველად შეხვდა ჟურნალისტს. აშკარა იყო, მოულოდნელმა სტუმრობამ გააკვირვა, ცოტა გაახარა კიდეც და გულახდილად საუბრის განწყობაზეც დადგა: ადრე ხუთი კორპუსი გვეკუთვნოდა, ახლა კი — ორი. აფხაზეთისა და აგვისტოს ომის მერე, სამ კორპუსში დევნილები შეასახლეს. იმ სამ კორპუსში, რომელიც თურმე დღეს უკვე ეკონომიკის სამინისტროს დაქვემდებარებაშია, ბინების ყიდვა-გაყიდვა-გაქირავება არცთუ იშვიათია. სათანადო განცხადებებს ინტერნეტშიც ხშირად წააწყდებით.

დარჩენილ ორი კორპუსიდან ერთში ფეხი შევდგი თუ არა, ულამაზესმა ორანჟერეამ მომჭრა თვალი. თქვენ წარმოიდგინეთ, სადღეღამისო დაცვაც ჰყავთ. ბატონმა კობამ, რომელიც ყველაზე ძველი თანამშრომელია, კიბეზე ამაცილა. ჩვენი პირველი რესპონდენტი მარიამ ბერიანიძეა. გულთბილად შემიპატიჟა და ბატონმა კობამაც, „ტეტ-ა-ტეტ“ დაგვტოვა, საუბარში ხელი არ შეგვიშალა. „თუთიყუშიც გყოლიათ“, — ჩემი პირველი რეაქცია, რატომღაც ასეთი იყო. „შენ წარმოიდგინე, ლაპარაკობს“, — შინაურულად მითხრა მარიამმა. კეშა პატრონივით სტუმართმოყვარე აღმოჩნდა, პატივი დამდო და ინტერვიუს განმავლობაში, ხმა არ გაუღია, გასუსული იჯდა. **მარიამ ბერიანიძე** ფსიქოლოგიის ფაკულტეტზე სწავლობს. 50%-იანი გრანტი აქვს და ამბობს, სტუდქალაქში ცხოვრება, სადაც თვეში მხოლოდ 30 ლარს იხდის, მისთვის დიდი შეღავათია: **„კასპელი ვარ და ერთი წელი ყოველდღე იქიდან დავდიოდი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში. მეორე წელს, ბატონი ზაზა დამიკავშირდა და მითხრა, ადგილი გათავისუფლდაო. განსაკუთრებით არ გვიჭირს, მაგრამ ბინის ქირას მაინც ვერ გადავიხდიდი. მინიმუმ 150 ლარი მჭირდებოდა თვეში, ისიც იმ შემთხვევაში, ვინმესთან ერთად თუ ვიქირავებდი და ხარჯს გავიყოფდით. ალბათ გაითვალისწინეს, რომ ძალიან ვწვალობდი და ჩემი განცხადება ამის გამო დააკმაყოფილეს“.**

აქ სტუდენტური ცხოვრებისთვის უჩვეულო სიწყნარეა. სულ ასეა, თუ შინ არ არიან შენი მეზობლები? — უნებურად ვინტერესდები და მარიამის პასუხი, ჩემთვის, ცოტა მოულოდნელია: **„თუ ვინმეს დაბადების დღე აქვს, ვცდილობთ, გავუგოთ. სხვა შემთხვევაში, ყველა ცდილობს, მეზობლებს სიმყუდროვე არ დაურღვიოს“.** თუმცა, მარიამი იმასაც გვიმხელს, რომ ზოგჯერ ერთმანეთს სტუმრობენ, მღერიან, ხალხურ საკრავებზე უკრავენ და ასე ერთობიან. თუ რომელიმეს ნობათი ჩამოუვა, მეზობლებსაც ეპატიჟება. გოგონები, ბიჭებს, რომლებსაც სამზარეულოში ტრიალი და კერძების მომზადება არ ეხერხებათ, სადილადაც ხშირად ეპატიჟებიან.

მარიამის შემდეგ, კიდევ ერთ გოგონას ვესტუმრეთ. **თამარ მამასახლისმა** კარი გააღო თუ არა, საოცარი ღიმილი შემოგვაგება: **„მე გორიდან ვარ. საბუნებისმეტყველო მეცნიერებებზე ვსწავლობ. დასაქმებულიც ვარ, მაგრამ მშობლები ფულს მაინც მიგზავნიან. გასართობად ნაკლებად ვიცლით, რადგან მეორე კურსიდან, თითქმის ყველა მუშაობს. აქაურობას ვუვლით. შპალერი ჩვენი ინიციატივით გავაკარით. კერძებს ქურაზე ვამზადებთ. გაზი არ გვაქვს, მაგრამ შუქი თითქმის არასოდეს ქრება. წყალიც არის. მთავარია, ავზი გაივსოს, რომ დაბანა შევძლოთ. ვინც აღმოსავლეთ საქართველოში ვცხოვრობთ, კვირაში 1-2-ჯერ შინ მივდივართ, სარეცხიც იქ მიგვაქვს. ისე, აქაც უპრობლემოდ რეცხავენ. როცა დრო გვრჩება, კაფეში მივდივართ ან ბილიარდს ვთამაშობთ“.**

თურმე, ადრე საცურაო აუზიც ჰქონდა სტუდქალაქს, კაფეც და სასადილოც. დღეს, არც ერთი ფუნქციონირებს, მაგრამ სტუდენტები მაინც კმაყოფილები არიან. სისუფთავე დამაკმაყოფილებელია. სველი წერტილებიც მოვლილია, თუმცა, მეორე კორპუსში საერთოა. **„ჩვენ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს ვეკუთვნით და შესაბამისად, ის გვაფინანსებს. ვცდილობთ, პირველ რიგში სოციალურად დაუცველებს ან უმუშევრებს მივცეთ ბინა. თუ რიგში ასეთები არ არიან, მზად ვართ, ნებისმიერ სტუდენტს მხარში დავუდგეთ“,** — გვიხსნის სტუდქალაქის მმართველი **ზაზა წაქაძე.**

ორივე კორპუსში 300 სტუდენტი ცხოვრობს. ადმინისტრაციის თქმით, ყოველწლიურად 200-ზე მეტი განცხადება შემოდის. ორი უცხოელიც ჰყავდათ, მაგრამ სწავლის გაგრძელება ევროპაში გადაწყვიტეს და წავიდნენ. ადრე, საბჭოთა პერიოდში, სტუდქალაქში ხუთი კორპუსიდან, ერთი უცხოელებისთვის იყო განკუთვნილი.

თამარ დვალი სტუდქალაქის ადმინისტრატორია. ამბობს, რომ სტუდენტებს შორის რაიმე სახის ინციდენტი არასოდეს მომხდარა: **„თუ ვინმეს სტუმარი მოსდის, ვიცით. შესვლაზე საშვია საჭირო. მასპინძელთან ერთად შემოდიან. ჩხრეკის უფლება არ გვაქვს, მაგრამ დიდი რაოდენობით სასმელს ვერ გამოგვაპარებენ. დათრობა და აყალმაყალი გამორიცხულია. აქ დარჩენის უფლება 10 საათამდე აქვთ“.**

გართობა სტუდქალაქში, კონცერტების, პოეზიის საღამოების ჩატარებას გულისხმობს. როცა ახერხებენ, თამაშობენ — „რა, სად, როდის“. **„ვცდილობთ, სტუდენტებს მშობლის მაგივრობა გავუწიოთ. განსაკუთრებით მათ, ვინც დასავლეთიდანაა და შინ იშვიათად მიდის. სტუდენტური ქალაქის ტრადიცია სწავლისადმი ერთგულებაა. უამრავი გეგმა გვაქვს და მიხარია, რომ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი დახმარებას გვპირდება“,** — გვიამბობს **ზაზა წაქაძე** და გვიმხელს, რომ თავის დროზე, სტუდქალაქის ბინადარი იყო.

სტუდქალაქმა არაერთი სტუდენტური წყვილი დააოჯახა. ჩვენც ვესტუმრეთ ერთ ასეთ ოჯახს, სადაც ორი წლის პატარაც დაგვხვდა. **მარიამ ზედგინიძე** გვიამბობს: **„ქარელიდან ვარ, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართლის სკოლის მაგისტრანტი გახლავართ. როცა ჩამოვედი, ჩემი მომავალი მეუღლე უკვე აქ ცხოვრობდა. შევუყვარდი, ყურადღებას არ მაკლებდა. ერთხელ ტორტი ამომიტანა... აქ სხვანაირად რომანტიკული იყო ყველაფერი. მის გრძნობებს 2 თვეში ვუპასუხე. დღეს უკვე 2 წლის ანდრია გვყავს და ტკბილად ვცხოვრობთ, სტუდქალაქში“.**

ჩვენი გიდი სტუდქალაქში, ბატონი კობა გვიხსნის, რომ პრიორიტეტი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტებს ენიჭებათ, მაგრამ დედმამიშვილის შემთხვევაში, შეიძლება გამონაკლისიც დაუშვან. ასეთ დროს, ფასშიც კია გარკვეული შეღავათი.

ორი წლის წინ ქალაქის მთავრობამ სტუდქალაქის მიმდებარედ სტადიონი გააკეთა, სადაც ფეხბურთსა და კალათბურთს თამაშობენ; აქვეა საფეხმავლო გზა, საიდანაც სტუდენტები მაღლივ კორპუსში 8-10 წუთში გადადიან და მგზავრობის ფულს ზოგავენ. სტუდქალაქელების მთავარი სადარდებელი, გაფუჭებული გზაა. იქნებ შესაბამის უწყებებამდე ხმა მიაწვდინოთ და ამ გზას მიხედონო, — აცხადებენ სტუდქალაქელები და გვიხსნიან, რომ მეორე კორპუსის ეზო ავტობუსების ბოლო გაჩერებაცაა და საზოგადოებრივი ტრანსპორტი აქ შეფერხებით მოძრაობს. ეს გზა თუ გაკეთდა, სადარდებელი აღარაფერი გვექნებაო, — ამბობენ. არდა, გაზის შეყვანა და რემონტიც არ აწყენდა, ორ კორპუსში ჩატეულ სტუდენტურ ქალაქს.

დაპირისპირება ზონაზე

რატომ ვერ აიტანა ტარასამ პატიმარი დათო, რომელიც მაყურებლებს ციხეში ძმების მკვლელობის „გახსნაში“ დაეხმარა

პატიმარი №0578

კრიმინალური სამყაროს წევრებისთვის პიკი, „კანონიერი ქურდის“ წოდებაა. ამ მწვერვალისკენ სავალი გზა რთულია. მსურველთა უმრავლესობა ამ გზაზე ეცემა და ყველაფერს კარგავს (ბევრი მათგანი სიცოცხლესაც კი), მაგრამ მათთვის იმდენად დიდი ხიბლი აქვს „ქურდის“ სახელს, ჯიუტად მიიწევენ მიზნისკენ.

გაგიკვირდებათ და ე.წ. კანონიერ ქურდად გახდომის მარტივი გზაც არსებობს — „ქურდის“ მკვლელის მოკვლა. თუ „კანონიერი ქურდის“ მკვლელზე შურს იძიებ, შეგიძლია, ამ „ოჯახში“ გაერთიანება მოითხოვო და იშვიათია, პრობლემა შეგექმნას; მეორე მხრივ, თუ „ქურდის“ მკვლელი თავისუფლად დანავარდობს რომელიმე ქალაქსა თუ სოფელში, იქაურ „კაიბიჭებს“ მუდმივად უმეორებენ, რომ „კაიბიჭობაზეც“ კი არ უნდა ჰქონდეთ პრეტენზია. ანალოგიურ მდგომარეობაში დღეს გორელები არიან — რამდენიმე წლის წინ, ერთმა გორელმა „კანონიერი ქურდი“ მოკლა და ჯერჯერობით მას „პრიგავორი“ ვერავინ გამოუტანა...

„ახალი პატიმრების ნაკადი მოიყვანეს. ნახე, ყველა „პერვახოდკაა“, თვალების ცეცებაზე ეტყობათ“, — გადაულაპარაკა პატიმარ №0578-ს თანასაკნელმა და ზონის ეზოში შემოსულ ახალ ნაკადზე მიანიშნა.

ახლები მართლაც დაბნეულები ჩანდნენ. ხან პატიმრების საცხოვრებელ კორპუსს ათვალიერებდნენ გაფართოებული თვალებით, ხან იქვე მდგომ პატიმრებს უყურებდნენ შიშითა და კრძალვით. ყველაზე დაბნეული ერთი მაღალი ბიჭი ჩანდა, 18-19 წლის იქნებოდა და იმის მიუხედავად, ცდილობდა, თავი მხნედ ეჩვენებინა, თვალებში ჩასახლებულ შიშნარევ ცნობისმოყვარეობას ვერაფერს უხერხებდა. სწორედ ეს ბიჭი შეიყვანეს №0578-ის საკანში და ძველი პატიმრებიც მაშინვე შემოესივნენ.

„რა ხდება გარეთ?! დარჩა კიდევ ვინმე დასაჭერი?! შენ რაზე ზიხარ? სადაური ხარ?!“ — დააყარეს კითხვები ახალმოსულს.

ბიჭი გორელი გამოდგა, 19 წლის, პლანის მოწევაზე იყო დაჭერილი და ოთხი წელი ჰქონდა მისჯილი.

„აჰა, ესე იგი, გორელი ხარ. ახლა არ მითხრა, კაიბიჭი ვარო“, — გაეღიმა ახალგაზრდა პატიმარ ტარასას, რომელიც მკვლელობაზე იჯდა და იმის გამო, რომ თავის დროზე ბიძამისი „კანონიერი ქურდი“ იყო (უკრაინაში ჩაცხრილეს), თავადაც ჰქონდა ქურდობაზე პრეტენზია.

„კი, კაიბიჭი ვარ“, — ჩუმად თქვა ახლადმოსულმა დათომ.

„რაის კაიბიჭი, ქურდის მკვლელი დადის თქვენ ქალაქში და ერთი კაცი არ გამოჩნდა, ტყვია დააჭედოს. ეგ არის გორელების კაიბიჭობა?!“, — იფეთქა ტარასამ და ნარიდან წამოდგა. ხელში ციხეში გაკეთებული მაკრატელი ეჭირა, ფრჩხილებს იჭრიდა და სწორედ ამ მაკრატლით მიადგა დათოს. ახალმოსული დაიბნა, ხან მაკრატელს უყურებდა გაფართოებული თვალებით, ხან ტარასას.

„შეეშვი და შენს ადგილზე დაჯექი. თუ ბაზარი გინდა, ეგ მაკრატელი შეინახე და ისე იბაზრე. გამომივიდა აქ ტიგრანა გულოიანი“, — გასძახა №0578-მა. ტარასა ახლა მას მიეჭრა.

„რამდენჯერ უნდა გითხრა, კაიბიჭების ბაზარში ნუ ერევი-მეთქი?! არ არის ეს შენი საქმე და საერთოდ, უნდა გავაიასნოთ, შენ რატომ წყვეტ ხოლმე ამ კამერაში, ვინ რა თქვას“, — გაცხარდა ტარასა.

„ჯერ ერთი, ამ კამერაში დემოკრატიაა და ყველა ისე იქცევა, როგორც სურს. მეორეც — წეღან ამბობდი, გორელი კაიბიჭი არ გამიგიაო და ახლა თურმე მე ვერევი კაიბიჭების ბაზარში. სიტყვები დაალაგე, ჩამოყალიბდი, ჩემო კეთილო და მერე ამოიღე ხმა. ასჯერ მაქვს ნათქვამი შენთვის ეგ. ახლა მაგ მაკრატელს თუ არ შეინახავ და ბაზარს ისე არ გააგრძელებ, წაგართმევ და უკან შეგთხრი“, — პატიმარი №0578 ნარიდან წამოდგა.

ტარასამ ორი ნაბიჯით უკან დაიხია და ჩუმად თქვა: „მაყურებლებთან წავიდეთ“.

„ათ წუთში ტარასა, დათო და №0578 მაყურებლების კამერაში ისხდნენ. რადგან პირველად მაყურებლები ტარასამ ახსენა, საუბარიც მან დაიწყო: „ეს ახალი ამბობს, კაიბიჭი ვარო. არადა, გორელია. მე დავუწყე გაიასნება, რომ ასე არ ხდება — სანამ გორში ის ნაბოზვარი ივლის, გორელებს კაი ბიჭობაზე პრეტენზია არ უნდა ჰქონდეთ. მერე ბაზარში №0578 ჩაერთო და შეურაცხყოფა მომაყენა. მოვითხოვ, ამ ახალს აუხსნათ, რომ მართალი ვარ, №0578 კი დადგეს და უნდა მივიღო. შეურაცხყოფას არ ვაპატიებ. და ისიც უთხარით, რომ, როცა კაიბიჭი ბაზრობს, ეს არ უნდა ჩაერიოს“, — დაასრულა მონოლოგი ტარასამ.

მაყურებლებმა დათოს შეხედეს. მან კი ჩუმად თქვა, მე გიორგი კ-ს შვილი ვარ, მამაჩემი ქსანში მოკვდა, ზონაზე, ქურდების კამერაში ცხოვრობდა, უნდა იცოდეთო. ამის შემდეგ №0578-ის მონოლოგის ჯერი დადგა: „ჯერ ერთი, ახლადმოსულ კაცს კაიბიჭობაზე პრეტენზიას რომ უყენებ, არ არის სწორი. ეს ჩემი აზრია, თორემ ქურდულში, შესაძლოა, სხვაგვარადაა; მეორე — როცა ბაზრობ, ხელში პრედმეტი არ უნდა გეჭიროს და არ უნდა იქნევდე. ეგ თქვენ კარაბადინშიც წერია... და მესამე — თუ გორელებში კაიბიჭები არ არიან, თქვენი, მაყურებლების კამერაში რა უნდა ივანიჩს, ეგეც ხომ გორელია და თქვენი ძმაა. შეურაცხყოფაზეც მოგახსენებთ: ვიმეორებ, რომ ეს ტარასა ანალოგიურად თუ მოიქცევა, რაც უნდა ეჭიროს ხელში, მართლა წავართმევ და გავუკეთებ ერთ ადგილას. რაც შეეხება იმას, რომ კაიბიჭების ბაზარში არ უნდა ჩავერიო, მე სიმართლეს ვამბობ ხოლმე და არა მგონია, სიმართლის თქმას თქვენ კრძალავდეთ. თქვენ ხომ მითხარით, ქურდული და სიმართლე ერთსა და იმავეს ნიშნავსო“.

„ტარას, ზონაზე მაყურებელი როცა არის, შენ არ და ვერ გადაწყვეტ, ვინ კაიბიჭია და ვინ არა. ეს ერთი. როცა საუბრობ და ხელში მაკრატელი გიჭირავს, მეორე მხარეს შეუძლია სახე ისე ახლოს მოგიტანოს, შემთხვევით ეგ მაკრატელი შეეხოს და მაგ დროს, ცამდე მართალი რომ იყო, მტყუანი გამოხვალ. ეს ორი. შენ იცი, რომ №0578 ჩვენი ძმაა, სხადნიაკებსაც ესწრება, სიტყვის თქმის უფლებასაც ვაძლევთ იმიტომ, რომ თავი უმუშავებს და მაგის ნააზრევით ამ ზონას და ქურდულს რაც სიკეთე აქვს, იმდენი მთელ ბლატატას ერთად აღებულს არ გაუკეთებია. შესაბამისად, ჩაერევა კი არა, ვალდებულიც არის და ამის გამეორება კიდევ თუ დაგვჭირდა, ვის დავაყენებთ და ვის მოვთხოვ, მაგას ნახავ. რაც შეეხება ამ ახალს, ჩვენთან დარჩეს ცოტა ხანს, საქმე გვაქვს“, — დაასრულა მაყურებელმა.

ტარასა კამერიდან წელმოწყვეტილი გავიდა, №0578 არ განძრეულა და მაყურებელს ახალზე თვალით ანიშნა, რა ხდებაო.

„ჩემი ძმა, შენ თუ მართლა გიორგი კ-ს შვილი ხარ, შენს დას რა ჰქვია, ის მითხარი“, — ჰკითხა მაყურებელმა დათოს.

„ოქსანა“, — ჩუმად თქვა დათომ.

„რატომ ჰქვია ოქსანა?!“ — ჩაეკითხა მაყურებელი.

„იქ ჩაისახა, ქსანში და მამამ დაარქვა ოქსანა“, — უხერხულად გაეღიმა დათოს.

„კარგი. მე ვიჯექი მამაშენთან. ძმაკაცი იყო ჩემი. იცი, რა მაინტერესებს?! სანამ მამაშენი დაიღუპებოდა, ერთი დღით ადრე ქსანში ორი ბიჭი მოკლეს. ვიცი, იმ დროს მამაშენთან შენ, დედაშენი და შენი და იყავით. მეორე დღეს წამოხვედით. საღამოს კი გითხრეს, რომ გიო წამლის კაიფში გაიპარა. ის დღე გაიხსენე, ხომ არ უთქვამს მამაშენს რამე ისეთი, რაც იმ ბიჭების მკვლელობას უკავშირდებოდა. ან სახელი ხომ არ უთქვამს, ან ვინმეზე ხომ არ იყო გაბრაზებული. ვიცი, ათი წლისწინანდელ ამბავს გეკითხები, მაგრამ ეს ძალიან მნიშვნელოვანია და გაიხსენე, უმცირესი დეტალიც კი“, — დაძაბულად ჰკითხა მაყურებელმა.

„მე მარტო ის მახსოვს, რომ ის მოკლულები ძმები იყვნენ. კიდევ ის მახსოვს, მამამ რომ თქვა, ნიკოს ბრალიაო... კიდევ, მეორე დილით რომ გვიშვებდა, ისე გადაგვეხვია, თითქოს ბოლოჯერ გვხედავდა... საღამოს დედას დაურეკეს და მამა წამოვასვენეთ“, — თვალები აუცრემლიანდა დათოს.

„მომისმინე, გონება დაძაბე და მითხარი, ნიკო თქვა თუ ნიკელა?!“ — ჩურჩულით ჰკითხა მაყურებელმა.

„ჰო, ნიკელა. ვერ დავიმახსოვრე, ვიხსენებდი, ნიკოს რომ ჰგავდა სახელი, მახსოვდა და ამიტომ ვთქვი. ნიკელა თქვა“, — დაადასტურა დათომ.

მაყურებელი გაფითრდა, მერე კამერიდან ყველა დაითხოვა და იმის მიუხედავად, რომ რამდენჯერმე უთხრა, №0578 არ გავიდა. დიდი ხნის მეგობარს გვერდით დაუჯდა და პირდაპირ ჰკითხა: „რა ხდება?!“

„ქსანში მაშინ მეც ვიჯექი. ჩხუბი მოგვიხდა, სერიოზული საქმის გარჩევა იყო. მართლები ვიყავით. დიდი სხადნიაკი უნდა გამართულიყო, მაგრამ მათ იცოდნენ, გამტყუნდებოდნენ და ამიტომ რუსთავში გამომისროლეს, ის ძმები იარაღით დახოცეს, გიორგას კი წამლის პერედოზი გაუკეთეს. არადა, მე ხომ ვიცი, არ იკეთებდა. ჰოდა, მარტო მე დავრჩი, არავინ მომისმინა მარტო მე, დანარჩენები მკვდრები იყვნენ. ამის მამა მაგარი მგელი იყო, იმის მეათედიც ვერ არის ეს ბიჭი, მაგრამ გაუფრთხილდი, შენ გაბარებ. ის ნიკელა კიდევ... წინა კვირას რომ წაიყვანეს ჩვენი ზონიდან, ეგ არის. ჩამივარდება მომენტი და ყელს გამოვჭრი სადმე“, — დაიმუქრა მაყურებელმა.

მეორე დილით ტარასა დათოს წინ ჩამოჯდა, ჯერ №0578-ის ნარისკენ გაიხედა და როცა დარწმუნდა, პატიმარი მიყურებს და მისმენსო, დათოს უთხრა — „კაიბიჭი ხომ ხარ? ჰოდა, თამაშს გიცხადებ, ვიყომაროთ ხუთი ათასზე, ქურდული დვიჟენია მოვიყვანოთ, ძმაო, თორემ ხომ ხედავ, ჩაკვდა ცხოვრება“...

დათოს სხვა გზა არ ჰქონდა, მაშინვე დათანხმდა, მაგრამ მთელმა კამერამ იცოდა, რომ ტარასას მოგება თითქმის შეუძლებელი იყო. ტარასამ და დათომ მაგიდისკენ გადაინაცვლეს, როცა მოულოდნელი რამ მოხდა — პატიმარი №0578 ნარიდან წამოდგა, ტარასას საყელოში ხელი ჩაავლო, ჯერ ერთი სილა გააწნა, სანამ აზრზე მოვიდოდა, კამერის კართან მიიყვანა, მოატრიალა და უკანალში ფეხის ძლიერი ამორტყმით კორიდორში გაასრიალა. ტარასამ არაადამიანური ხმით იღრიალა და მაყურებლების კამერისკენ გაიქცა.

„ეგ რა ქენი? მაყურებლები ცემაში დაგვბრიდავენ. ცუდად არ ვთამაშობ, ვიყომარებდი“, — ჩამწყდარი ხმით თქვა დათომ.

ზუსტად ორ წუთში კამერაში ზონის და რეგიონების მაყურებლები შევიდნენ. ტარასა აწითლებულ ლოყას იზელდა და თბილისის რეგიონის მაყურებელს რაღაცას ეჩურჩულებოდა.

„რა მოხდა?!“ — იკითხა ზონის მაყურებელმა.

„ნაბიჭვარია ეგ თქვენი ტარასა. გითხარით ადრეც, შემომაკვდება-მეთქი და თუ ამაღამ აქ დარჩება, მართლა შემომაკვდება. არ მაქვს მე მაგის ჯღანაობის ნერვები, მუდმივად ცდილობს, მწყობრიდან გამომიყვანოს. დღეს ცოტა გამოუვიდა და მიიღო, კიდევ თუ გამოუვა, უკვე სხვა ჩამოვა თქვენთან ამბის ჩამოსატანად, მაგას სიარული აღარ შეეძლება, გპირდებით“, — თქვა გაბრაზებულმა №0578-მა.

„მერე, ძმაო, არ იცი, რომ ზონაში მაყურებლები არიან?! აქ რომ რინგი გამიმართე, ვინ მოგცა უფლება“, — იღრიალა თბილისის რეგიონის მაყურებელმა და №0578-ს ხელი მოუქნია. პატიმარმა თავის გაწევა მოასწრო და თბილისის რეგიონის მაყურებელი სულ გადაირია — „კაიბიჭის ხელს ირიდებ, ბიჭო?!“

ამ დროს შუაში ზონის მაყურებელი ჩადგა.

„ტარას, თბილისის რეგიონის მაყურებლის კამერაში გადახვალ, იქ იცხოვრებ დღეიდან. აქ სხვა თემაა და მე ვამბობ, რომ №0578-თან პრეტენზია არ მაქვს და ვინც მეტყვის, რომ მართალი არ ვარ, ცალკე ავუხსნი. მორჩა ბაზარი, დახურულია და ვინც ამ თემას წამოწევს, პრეტენზია მექნება“, — გამოაცხადა ზონის მაყურებელმა და საკანიც რამდენიმე წამში დაიშალა.

* * *

დათო დღეს თავისუფლებაზეა, ტარასა ისევ სასჯელს იხდის, ზონის მაყურებელი გათავისუფლების შემდეგ ხელისუფლებამ საქართველოში არ გააჩერა და ახლა რუსეთშია. თბილისის რეგიონის მაყურებელი კი გასულ გაზაფხულს იტალიაში ალბანელებმა მოკლეს.

ვერსიანიუსი

შს მინისტრმა კონკურსში გამარჯვებულები დააჯილდოვა

შინაგან საქმეთა მინისტრმა, ალექსანდრე ჭიკაიძემ ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის კამპანიის ფარგლებში ჩატარებულ კონკურსში გამარჯვებული ჟურნალისტები და მოქალაქეები დააჯილდოვა.

მინისტრმა გამარჯვებულებს მადლობის სიგელები, შსს-სა და გაერო-ს ქალთა ორგანიზაცია UN WOMAN-ისგან საჩუქრად ნოუთბუქები გადასცა და გამარჯვება მიულოცა.

გამარჯვებული ჟურნალისტები რამდენიმე ნომინაციაში გამოვლინდნენ: საუკეთესო ტელესიუჟეტის ავტორი საზოგადოებრივი მაუწყებლის ჟურნალისტი სალომე ქოქიაშვილი გახდა; საუკეთესო სტატიის ავტორად ჟურნალისტი თამუნა ლეფსვერიძე დასახელდა; საუკეთესო რადიოსიუჟეტისთვის პრიზი „რადიო პალიტრას“ ჟურნალისტ ხათუნა გაგნიძეს გადაეცა. ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ კამპანიის მხარდაჭერისთვის სპეციალური პრიზი ტელეკომპანია „იმედის“ თოქ-შოუ „რეაქციის“ წამყვან ინგა გრიგოლიას, „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ გადაცემა „პირველი სტუდიის“ წამყვან ეკა მიშველაძეს და ტელეკომპანია „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ გადაცემა „სამოთხის ვაშლების“ წამყვან ნინო ზაუტაშვილს გადაეცათ. კონკურსის ჟიურის რჩეულები გახდნენ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის მიმართულების ორი ჯგუფი კონკურსისთვის შექმნილი ვიდეორგოლებისთვის: „ნუ შენიღბავ ძალადობას!“ და „სოლიდარობა დაგვიცავს ჩვენ!“.

ჟურნალისტური ნამუშევრები შეაფასა სპეციალურმა ჟიურიმ, რომლის წევრები არიან: შსს-ს საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტის ხელმძღვანელი ნინო გიორგობიანი, შსს-ს საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტის პროექტების მართვის სამმართველოს უფროსი მაკა ფერაძე, შსს-ს აკადემიის პროფესიული მომზადების სამმართველოს საპატრულო პოლიციის ფაკულტეტის უფროსი ნოდარ სააკაშვილი, არასამთავრობო ორგანიზაცია „ძალადობისგან დაცვის ეროვნული ქსელის“ თავმჯდომარე ნატო შავლაყაძე, გაერო-ს ქალთა ორგანიზაციის წარმომადგენელი გვანცა ასათიანი, ფსიქოლოგი თეა გოგოტიშვილი, ტელეწამყვანი ირაკლი ჩიხლაძე.

მინისტრმა ასევე დააჯილდოვა კონკურსში გამარჯვებული მოქალაქეები, რომლებიც Facebook-ზე ხმების რაოდენობით გამოვლინდნენ. საუკეთესო ფოტოს ავტორი ალეკო აბალაკი გახდა, საუკეთესო დიზაინის ავტორად ანა მაჭარაშვილი დასახელდა, საუკეთესო სლოგანის ავტორი კი ანა ყვავაძე გახდა. კონკურსის ჟიურის სიმპათია დაიმსახურეს სლოგანის ავტორმა თამარ ტვილდიანმა და ფოტოს ავტორმა თინათინ მახათაძემ. შინაგან საქმეთა სამინისტრომ ამერიკის შეერთებული შტატების მხარდაჭერით ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის სოციალური კამპანია „არა ძალადობას!“ 25 ნოემბერს დაიწყო.

„ვერსიანიუსი“

სუდოკუ ამაღლებული

ადვილი

6					7	9		
	2				4		7	3
				9			6	
	9		1		3		2	5
		5		2		7		
2	7		5		9		3	
	6			4				
8	5		7				4	
		4	8					2

სტანდარტი

				3			4	
		6	5					8
3	2		9					5
		5					7	
6				1				2
	4					8		
1					7		8	3
8					3	4		
	5			4				

რთული

1			5					3
							1	
			6			9	5	8
				6	9		4	7
8		7	3	5	4	1		9
4	1		7	8				
7	4	3			6			
	9							
5					7			4

ექსპერტი

	5				3		9	6
						8	7	
6			2					3
		4	3		7			5
		3	5		1	7		
7			9		6	4		
5					2			8
	3	1						
9	7		1				6	

1. კაზაკთა დიდი სოფელი
2. აისბერგის მსხვერპლი ნომალდი
3. საქონლის სუფთა წონა
4. აცეგბოოკ-ის დამ-ფუძნებელი
5.დასასვენებელი სახლი ქალაქგარეთ
6. საახალწლო ტკბილეული
7.წარსულში ცნობილი ბრაზილ. ფეხბურთელი
8. ფრანგი ფერმწერი
9. მექანიკის ნაწილი
10. ფეთქებადი ნივთიერება
11. ტბა ჩრდილოეთ ამერიკაში
12. თანაბარი ანგარიში ფეხბურთში
13. ტვირთმზიდავი ხარი
14. ქალაქი ესპანეთში
15.კინოფილმისთვის დაწერილი მელოდია
16. დიდი გარმონი
17. მღვდლის სამოსელის ნაწილი
18. ადამიანის სამეტყველო ორგანო
19. ქიმიური ელემენტი
20. ჭრაღლთა რეპტილია ისტორიულ სამშობლოში
21.ტერაქტით ცნობილი ქალაქი ჩრდ. ოსეთში
22.წყალი მყარ მდგომარეობაში
23. წრეხაზის ნაწილი
24.ფრანგი მსახიობი ... ჟირარდო
25. ვენეციელი ვაჭრის სახელი
26. ეკლესიიდან განდევნა, შეჩვენება
27. მობილური ტელეფონის მარკა
28. მადლობა - იაპონურად
29. ჩრდილოეთ ინდოელი მუსლიმანი
30. 2015 წლის სიმბოლო
31. სალვადორ დალის მეუღლე
32. მიმართვა ესპანელი მამაკაცისადმი
33. „მე“ - ლათინურად
34.ეკონომიკური სანქციის სახეობა
35. წყლის პიტნა
36. მსხვილი ნაწლავის ანთება
37.ქართ. ფილმი „...დაიდარდო!“
38. ვაზების მწკრივი ვენახში
39. ჰოლანდიური გვარების წინსართი
40. დიდი დანიელი ფიზიკოსი
41. ძველი ფილმების ჩვენება
42. კატის ჯიში
43.ინგლ. მომღერალი ... სტიუარტი
44. ქალაქი გერმანიაში
45. მხატვარი ...-გრეკო
46. საფქვილე ყუთი წისქვილში
47. ნდომა, წადილი
48. სცენური ხელოვნების სახეობა
49. ალ. ბუვიეს ცნობილი რომანი
50.ვერტიკალურად მდგარი ქვის სვეტი რელიეფური გამოსახულებით
51. ნაპოლეონის მარშალი
52. მდინარე რუსეთში
53. ჭაობის მცენარე
54. თავისუფალი ფორმის ნარკვევი
55. სასიგნალო ტივტივა წყალზე
56. გაზაფხულის ყვავილი
57.განაყოფიერებული კვერცხუჯრედი
58. მსახიობი ... ფეროუ
59. მსახიობი ... ჯინორია
60. ფოსო თვალის ქვეშ
61 ინდიელთა ვიწრო და გრძელი ნაგი
62.ქარისგან მოტანილი სილის ბორცვი

წინა ნომერში გასული სკანვორდისა და სუდოკუს პასუხები

ადვილი

5	8	4	3	9	2	1	7	6
7	3	6	4	1	5	2	9	8
2	1	9	7	8	6	5	4	3
4	2	5	1	3	9	8	6	7
1	7	3	6	4	8	9	5	2
6	9	8	5	2	7	4	3	1
9	6	1	8	7	4	3	2	5
8	5	2	9	6	3	7	1	4
3	4	7	2	5	1	6	8	9

სტანდარტი

3	6	7	1	9	5	8	2	4
4	9	2	3	8	6	1	7	5
1	8	5	2	7	4	3	9	6
2	1	4	9	6	3	7	5	8
8	7	6	5	4	2	9	3	1
5	3	9	8	1	7	6	4	2
7	5	3	6	2	1	4	8	9
9	4	1	7	5	8	2	6	3
6	2	8	4	3	9	5	1	7

ადვილი

5	4	6	3	8	2	7	1	9
2	1	3	7	9	6	8	5	4
9	8	7	5	1	4	2	6	3
8	5	1	6	4	7	9	3	2
4	3	2	1	5	9	6	8	7
7	6	9	2	3	8	1	4	5
3	9	5	8	2	1	4	7	6
6	2	8	4	7	5	3	9	1
1	7	4	9	6	3	5	2	8

სტანდარტი

2	4	3	1	9	8	6	7	5
1	9	7	2	6	5	4	8	3
8	6	5	7	4	3	1	2	9
5	7	2	4	1	6	3	9	8
9	1	8	5	3	7	2	6	4
4	3	6	9	8	2	7	5	1
3	8	1	6	7	9	5	4	2
7	5	4	8	2	1	9	3	6
6	2	9	3	5	4	8	1	7

რთული

6	3	9	2	1	5	4	8	7
8	1	2	4	9	7	3	6	5
7	5	4	8	6	3	2	9	1
3	4	8	7	2	1	6	5	9
5	2	7	6	4	9	1	3	8
9	6	1	3	5	8	7	4	2
4	9	6	1	8	2	5	7	3
2	7	5	9	3	6	8	1	4
1	8	3	5	7	4	9	2	6

ექსპერტი

1	9	8	7	6	5	4	2	3
5	3	4	2	1	8	7	6	9
7	2	6	4	9	3	5	8	1
9	6	2	8	5	1	3	4	7
8	1	7	3	4	2	6	9	5
4	5	3	6	7	9	2	1	8
3	8	5	1	2	6	9	7	4
2	7	1	9	3	4	8	5	6
6	4	9	5	8	7	1	3	2

რთული

2	9	4	3	1	8	7	6	5
1	6	3	4	7	5	2	9	8
5	8	7	2	6	9	4	1	3
8	1	6	9	5	2	3	7	4
9	4	2	1	3	7	8	5	6
7	3	5	8	4	6	9	2	1
3	7	1	6	2	4	5	8	9
6	5	9	7	8	3	1	4	2
4	2	8	5	9	1	6	3	7

ექსპერტი

9	8	4	7	5	6	2	3	1
3	1	2	8	9	4	6	5	7
7	6	5	3	2	1	9	8	4
6	5	3	2	4	9	1	7	8
8	4	1	6	3	7	5	2	9
2	9	7	1	8	5	4	6	3
5	7	9	4	6	8	3	1	2
4	3	8	5	1	2	7	9	6
1	2	6	9	7	3	8	4	5

მე-9 გვერდი: 1. ინდაური; 2. ნილოსი; 3. ავერსი; 4. „რერო“; 5. „მაესტრო“; 6. აკუსტიკა; 7. სიძე; 8. რანჩო; 9. ალგებრა; 10. აშპაშხანა; 11. იშიასი; 12. ოჰაიო; 13. ყურძენი; 14. ექიმბაში; 15. „აივენჰო“; 16. მაიმუნი; 17. ჰაშიში; 18. ეტი; 19. ასასი; 20. იქსი; 21. მოა; 22. უკრაინა; 23. იუანი; 24. პოტომაკი; 25. ვაი; 26. მოირა; 27. პაგანინი; 28. ტაო; 29. მაგმა; 30. იუმორი; 31. ნიუ; 32. კვაზარი; 33. სუომი; 34. თმა; 35. ამწე; 36. იანკი; 37. რისხვა; 38. გიორგი; 39. რერიხი; 40. ჰიაკუმე; 41. ნანინა; 42. ინა; 43. რურუა; 44. „ავეო“; 45. შაორი; 46. ბის; 47. სეითი; 48. კიი; 49. ხარო; 50. მარლონ; 51. ნიკო; 52. რომი; 53. ნოე; 54. არინა; 55. ვაიო; 56. კამა; 57. აბანო; 58. ყბა; 59. იდეა; 60. ივრითი; 61. პინია.

მე-10 გვერდი: 1. სტატია; 2. ტერაკოტა; 3. ტანგენსი; 4. ფრონტი; 5. რეზერვუარი; 6. ნალი; 7. გრინგო; 8. იყალთო; 9. შაითანი; 10. ოკა; 11. აზალია; 12. სირდარია; 13. კლაკიორი; 14. შეიკი; 15. სრა; 16. ჰაჯი; 17. ოყნა; 18. აარონი; 19. ვიოლა; 20. ტასია; 21. „შკოდა“; 22. აგარი; 23. სკუმბრია; 24. სოს; 25. სიასამური; 26. ხურმა; 27. ანთოლოგია; 28. შალითა; 29. დმანისი; 30. კიარა; 31. იკაროსი; 32. გონდოლა; 33. მესია; 34. სირ; 35. კომო; 36. ორთი; 37. თუთა; 38. თეზევსი; 39. ასლი; 40. სასო; 41. მინა; 42. ბარი; 43. აფსუა; 44. ეკი; 45. უმი; 46. ენი; 47. ისრიმი; 48. უცებ; 49. ბეილი; 50. მიკ; 51. ლიკურგე; 52. გიპიური; 53. ლაზიკა; 54. ესე; 55. ტირიფი; 56. გიაური; 57. ბიტი; 58. იუანი; 59. ეტალონი; 60. „სუბარუ“; 61. გავიალი; 62. ურალი; 63. „აეკი“; 64. ალეპო; 65. მიუსე; 66. მისური; 67. ლატე; 68. ნასა; 69. მუხლი; 70. ეარ; 71. ემე; 72. ღია; 73. სოლ; 74. კაბუკი; 75. ფაუ; 76. კომა; 77. რაი; 78. ნოინი; 79. ახო; 80. „ღრმაღელე“; 81. ლიმფა; 82. ღამე; 83. საია; 84. ავანტიურა; 85. ფლო; 86. კოლიე; 87. ლატი; 88. სია.

პოკო, მშვიდობით არა, ნახვამდის!!!

შაღვა ონიანის გახსენება

ნამდვილად ყოფილა სიკვდილი ღვთის ვალი თუ არა, განგების ვალი მაინც. გაჩენისთანავე მოჰყვება ეს ვალი კაცს. განგება ზოგისგან ადრე ითხოვს ამ ვალის მოხდას, ზოგს დროს აძლევს.

შალვა, ყველა შენს ნაცნობს გაუჩნდა სულში ცარიელი ადგილი, მხარჩამოტეხილები დადიან და სულში უსაშველო სევდას დაატარებენ, შენი მეგობრები შენმა სიკვდილმა უფრო დააახლოვა ერთმანეთს.

გარდაიცვალა — არა მგონია, სხვა ერსაც ჰქონდეს ასეთი სიტყვა, ადამიანის სიკვდილს რომ გამოხატავდეს და მის იმქვეყნად წასვლას რომ ესადაგებოდეს. მიუხედავად თავისი შინაარსისა, გარდაცვალება მაინც დიდებული სიტყვაა და იმას ნიშნავს, რომ იმედს უტოვებს ადამიანს, რომ იგი კი არ კვდება, კი არ ქრება მისი ხსენება, გარდაიცვლება მხოლოდ. იქნებ ასეც არის, რადგან ყოველი ნეშტი მიწად იქცევა და მასზე ამოსული ხე და ყვავილი, თუნდაც ბალახი ადამიანის სულის მეორე სიცოცხლეა.

შენი წასვლით შენს გარშემო ბევრ ადამიანს დაწყვიტე გული, მეგობრებს დააკლდათ კარგი მეგობარი, მშობლებს — სამაგალითო შვილი, მეუღლეს მოსიყვარულე ცხოვრების თანამგზავრი, შენს დაიკოს მუდამ გვერდით მდგომი დედმამიშვილი და, რაც ყველაზე მთავარია, ჩვენს პატარა ლილეს მოსიყვარულე და მუდამ მზრუნველი მამა. იგი ახლა ამ ტრაგედიას ვერ აცნობიერებს, მაგრამ რაც დრო გავა, მით უფრო აისახება მასზე ის სასტიკი რეალობა, რომელიც მთელი ცხოვრება უნდა ატაროს და რასაც ობლობაში გაზრდა ჰქვია. ის ხალხი კი, ვინც აცნობიერებს შენს დანაკლისს, ცდილობს, შენი სიყვარული პატარა ლილეს გაუზიაროს და ამით მაინც ოდნავ შეიმსუბუქოს ის ტკივილი, რომელიც ამქვეყნიდან შენმა წასვლამ მიაყენა. მათთვის რჩება სასტიკი რეალობა — შეეგუონ შენს გარეშე ცხოვრებას და იბრძოლონ იმ მიზნების განსახორციელებლად, რომელიც შენ, შენი ხანმოკლე სიცოცხლის განმავლობაში, ვერ მოასწარი...

შენი ცხოვრება ხანმოკლე იყო, მაგრამ იმდენად საინტერესო და სავსე, რომ მასზე ბევრის თქმა და დაწერა შეიძლება. ღმერთმა იცის, ვინ რა მიზნით წაიკითხავს ამ გახსენებას — ზოგი ინტერესით, ზოგი სინანულით, ზოგიც, ალბათ, შურით... ჰო, ზოგჯერ გარდაცვლილებისაც შურთ ხოლმე, მის პანაშვიდზე მიტანილი ყვავილების, მის პატივსაცემად მისული ხალხის სიმრავლის... შურს, როცა მისი სახელი მარადიულად ტრიალებს ცოცხლებში და მოკრძალებით ახსენებენ მის დანატოვარს ლოცვებში... შენ ასეთი შური დატოვე, რადგან შენი სახელი იმ დიდ სიყვარულთან ასოცირდება, რომლითაც სავსე იყო შენი გული...

პოკო, ერთი წელი გადის შენი გარდაცვალებიდან! ტკივილით, მოგონებით, ცრემლით, მაგრამ დიდი სიყვარულითა და მონატრებით სავსე ერთი წელი... თუმცა რა არის ეს ერთი წელი იმ მარადისობაში, სადაც შენმა სულმა გადაინაცვლა!

თამაზ სადღობელაშვილი

შვილები თინა, ნიაზი, გულადი და თენგიზ კუკავები ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

სულიკო (ნათელა) მამიას ასული ახალაია

პანაშვიდი: კვირა, ორშაბათი. დაკრძალვა სამშაბათი 16.00. მისამართი ზუგდიდის რაიონი, სოფელი დიდი-ნეძი.

მაია ფურცელაძე, გია და რუსა ხავთასები სამძიმარს უცხადებს ოთარ ქირიას ბებიის

სულიკო (ნათელა) მამიას ასული ახალაიას

გარდაცვალების გამო და თანაუგრძნობს მის ოჯახსა და ახლობლებს.

უჩვეულო სადაზღვევო შემთხვევები

მოგაზაურობაში წასვლის წინ, ბევრი უცხოელი სპეციალურ ტურისტულ დაზღვევას ყიდულობს, რომელსაც Travel Insurance ქვია. სწორედ ამ ტიპის დაზღვევიდან ზოგიერთ უჩვეულო შემთხვევას შემოგტავაზებთ. ერთ-ერთი ასეთი ფაქტი პენსიონერს შეემთხვა, რომელსაც ზღვის დაავადება სჭირდა. ი კრუიზში გაემგზავრა ბისკაის ყურეში. როდესაც მორიგ ჯერზე გადაეყუდა მოაჯირს, კუჭი რომ გაეთავისუფლებინა, საწყალს პირიდან ჩასასმელი ჩანა გადმოუვარდა. სადაზღვევო კომპანიამ მას ახალი ჩანის ფასი აუნაზღაურა. უელსის ტყის საფრთხე საკუთარ თავზე ოჯახურმა წყვილმა გამოსცადა, რომელიც მდელოზე, კარავში ისვენებდა. რომანტიკა მოულოდნელად მედესანტეს ჩამოფრენამ დაურღვია, რომლის ავიაბაზაც იქვე ახლოს მდებარეობდა. კარავი დაინგრა, თუმცა, სადაზღვევო კომპანიამ უარი განაცხადა ზარალის ანაზღაურებაზე, რადგან პოლისში უბედური შემთხვევა არ იყო შეტანილი. წარმოიდგინეთ ასეთი რამ: სასიამოვნო შვებულების გატარებას აპირებთ სამთო კურორტზე. ყიდულობთ ძვირიან „ბათინკებსა“ და თხილამურებს. ჩადიხართ ადგილზე და... თოვლი არ არის. სწორედ ასეთ სიტუაციაში აღმოჩნდა ერთი ჯენტლმენი. იმით განაწყენებულმა, რომ ახალი თხილამურებით ვერ ისრიალა, სადაზღვევოსგან მისი სრული ღირებულების ანაზღაურება მოსთხოვა. თუმცა, კომპანიამ უარი განაცხადა, პასუხი ეგო სათხილამური კურორტებზე თოვლის არარსებობის გამო.

ორმა ახალგაზრდა ბრიტანელმა გადაწყვიტა, უჩვეულო ქორწილი გადაეხადა — მათ ერთგულება ოკეანის ეგზოტიკურ სანაპიროზე შეჰფიცეს ერთმანეთს. თუმცა, ყველაფერი კოცონიდან წამოსულმა ნაპერწკალმა გააფუჭა — ის პატარძალს კაბაზე დაეცა და მომენტალურად აალდა. სიძემ მოასწო პატარძლის „ჩაქრობა“ — ის, უბრალოდ, ოკეანეში გადააგდო. სადაზღვევოსგან კი ფული მხოლოდ იმის გამო მიიღეს, რომ მათ ახალდაქორწინებულების სპეციალური დაზღვევა ჰქონდათ. კიდევ ერთი წყვილი თაფლობის თვის გასატარებლად რომანტიკულ პარიზში გაემგზავრა. სიყვარულის ქალაქი კი მათ რწყილებით შეხვდა — ორი დღე-ღამე მწერებმა მათ იმის გაკეთების საშუალება არ მისცა, რისთვისაც ჩავიდნენ. სადაზღვევო კომპანიამ წყვილს უარი განუცხადა თანხის გადახდაზე — ჩანს, რწყილები არ ითვლება იდილიის შესაძლო დამრღვევებად.

სადაზღვევოების დიდი თავისტკივილი ბავშვები არიან. მაგალითად ისეთები, ვინც მამის ვიდეოკამერას ქვიშაში ჩაფლავს. კომპანიამ გაითვალისწინა სიტუაცია და კორნუელების ოჯახს 1200 დოლარის ჩეკი გამოუწერა. საბერძნეთში მყოფი ინგლისელი მამაკაცი, რომელიც ტროტუარზე მიდიოდა, ბიკინში გამოწყობილ ადგილობრივ მანდილოსანს მიაშტერდა და ავტობუსის გაჩერებას შეეჯახა. სადაზღვევო კომპანიას ანგარიში საავადმყოფოდან გაუგზავნა, სადაც ცხვირის გატეხვის გამო მოხვდა.

ვერსია

მისამართი: ქ.თბილისი, სანკტ-პეტერბურგის ქ. 7.
e-mail: versiaprinti@yahoo.com www.versia.ge
UDC(უაკ)070.48:32(479.22)3-387

დამფუძნებელი და მთავარი რედაქტორი
მაია ფურცელაძე (599) 62-88-77
პასუხისმგებელი რედაქტორი: ნინო ლურსმანაშვილი
მედიაჯგუფი: მაია მიშელაძე, ნინო კომახიძე, რუსუდან შელია, გიორგი იაშვილი, მერაბ ბერიძე.
სტილისტი – ნინო ებანოიძე
დიზაინერი – გიორგი ლომსაძე
ტელ: 590 740999; 2942399

ISSN 1987-8699

დაცულია საავტორო უფლებები. რედაქციაში შემოსული მასალები უკან არ ბრუნდება. სტატიაში მოყვანილ ფაქტებსა და ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. პრეტენზიის შემთხვევაში დაგვიკავშირდით 14 დღის განმავლობაში.

თბილისში პოლიციის ახალი ადმინისტრაციული შენობა გაიხსნა

26 დეკემბერს, თბილისში, პეკინის გამზირის №46-ში, პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა და შინაგან საქმეთა მინისტრმა, ალექსანდრე ჭიკაიძემ პოლიციის ახალი ადმინისტრაციული შენობა საზეიმოდ გახსნეს. ღონისძიებას ქალაქ თბილისის მერი დავით ნარმანია და დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლები დაესწრნენ.

ოთხსართულიანი თანამედროვე შენობა კონკურსში გამარჯვებული პროექტის (ავტორი: არქიტექტორი — ნიკოლოზ წულაია) მიხედვით 6 თვეში აშენდა. პოლიციის ახალი შენობა უახლესი ტექნიკითა და ინვენტარით არის აღჭურვილი. შენობაში შინაგან საქმეთა სამინისტროს რამდენიმე სამსახურის: ქალაქ თბილისის პოლიციის მთავარი სამმართველოს, სახელმწიფო უსაფრთხოების სააგენტოსა და დაცვის პოლიციის დეპარტამენტის დანაყოფები განთავსდა. აღნიშნული სამსახურები დღემდე სხვადასხვა შენობაში იყო განლაგებული. მათი ერთ ადმინისტრაციულ შენობაში განთავსება უფრო მეტად გააუმჯობესებს კოორდინირებულ, ოპერატიულ და ეფექტურ საქმიანობას, მოქალაქეებისთვის კი ბევრად კომფორტული იქნება. ახალ ადმინისტრაციულ შენობას შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებისთვის გათვალისწინებული სპეციალური პანდუსები აქვს.

აქამდე აღნიშნულ მისამართზე არსებული პოლიციის შენობა მოძველებული იყო, ვერ აკმაყოფილებდა სამშენებლო ნორმებს და ვერ უზრუნველყოფდა შსს-ს თანამშრომლებისთვის მუშაობის შესაბამის სტანდარტებს. ასევე, შენობა-ნაგებობის კონსტრუქციის მდგრადობა, ექსპერტიზის დასკვნით, 50-60% იყო შემცირებული და მისი გამაგრებითი სამუშაოების წარმოება მიზანშეწონილი არ იყო, ვინაიდან წინასწარი შეფასებით, აღნიშნული სამუშაოები ახალი მშენებლობის ტოლფასი იქნებოდა. აქედან გამომდინარე, 2014 წლის იანვარში დაიგეგმა არსებული შენობის დემონტაჟი და ახალი შენობა-ნაგებობის მშენებლობა.

რუსუდან ხავთასი

პეკინის №46-ში თბილისის პოლიციის მთავარი სამმართველო, სახელმწიფო უსაფრთხოების სააგენტო და დაცვის პოლიციის დეპარტამენტის დანაყოფები განთავსდება